კაკა ედზისელი

კოლხური ფსალმუნები

100-ტომეული

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ქალდეა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ვაჟა ეტრუსელი



კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული
100 ტომად

2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ქალდეა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ვაჟა ეტრიელი



კოლხური ფსალმუნები

ტომი 53

2020

მთ. რედაქტორი **ელზა მეტრეველი**
მწერალი, მთარგმნელი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა **„უნივერსალი", 2020**

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)
ISBN 978-9941-26-860-1 (53 ტომი)

* * *

ვაჟა ეგრისელი დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორგაში. განათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტევანი“, ალექსანდრა სმირნოვა-კოზლოვას მონოგრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაშვილი“, ფეოდორ ტიუტჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთტომეული – „იქმენ ნათელი!” ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა” გამოსცა ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნები“-ს ხუთტომეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ქმნილება იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მეხუთე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტამბული.

ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონოგრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ეგრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწყეს ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟაფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დესპანის მედლისა და „დიოსკურია 2005“-ის, მშვიდობის ოქროს ვარსკვლავისა და მშვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და შაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,

აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პოეტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „ვარძიის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარგლის, ზუგდიდის, ხობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეულების „კოლხური ფსალმუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური ფსალმუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პოეტის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური ფსალმუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამზადებულია დასაბეჭდად ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ათტომეული, აბრეთვე, პოეტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დესპანი, „კოლხური ფსალმუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დაჩი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხრე შვილია (შვიდი ძმა და ორი და).

პოეტის ასტომეული „კოსმიური პოეზია“

ვაჟა ეგრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსთველს აკაკის და გალაკტიონს, ღმერთი არ მიწყენს რომ შეგადარო. გავხარ ზღვის ღელვას და ნაზ სიოსაც, რომ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „ფსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მეტგვერდიანი „გაჯადღლო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარვყავი და... დღეს ქვეყნის გასაგონად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ეგრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც გალაკტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰგავს...

ის პრეისტორიული კოლხეთის „ძუტაია“, არესის ჭალაში მდგარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, პელაზგმა იაზონმა მედეასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმწიფის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადაწვდილ ტოტებზე, პოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური ფსალმუნების“ იგავმიუწვდომელი ასტომეული დაკიდა და გააცოცხლა, მიძინებული, დავიწყების ნაცარმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდათოთხმეტზე მეტ საუკუნოვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცრებებით დახუნძლული ისტორია, რაც ჰომეროსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკეთებია.

100-ტომეული... ქვეყნის გაჩენის დღიდან, XXI საუკუნის რიჟრაჟამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოსური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯეროობით არავის შეუქმნია დედამიწაზე...

კოსმოსში კი...

დაგოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გველეშაპი მისწოლია... მათ იციან იქ იწყება დედამიწის ისტორია“.

გულნაზ ხარაიშვილი
პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურიატი,
ჯუმბერ ლეჭავას სახელობის მეცნიერებათა
საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი

„ბულცივად შეხვდი ყოველ ქებას, ყოველ ძაგებას.“

ა. პუშკინი

ᲬᲘᲜᲐᲡᲘᲢᲧᲕᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲑᲘᲔᲠ

(გაგრძელება)

მართლაცდა: „რამდენიმე იშვიათი გამონაკლისის გარდა, ძნელად თუ ჰპოვებ ჭეშმარიტად დიდბუნებოვანსა და სულიერ სიმაღლეთა წვდომით ნიჭით ცხებულ ნატურებს, ხოლო მაღლად მხედთა გარდა მათთან ერთად, ამაღლებულის თითქმის უკვალოდ გაქრობა ჩვენი ეპოქის წყევლად და საყოველთაო უბედურებად იქცა.“

„ამაღლებულის გრძნობა ბუნებისაგან თანდაყოლილია და არა განსწავლით შეძენილი, ხოლო გარკვეული მეთოდი გვასწავლის ყველა ცალკეულ შემთხვევაში ამაღლებულის თავის დროსა და თავის ადგილის ხმას, რათა შემოქმედებით პრიცესში თავიდან იქნეს აცდენილი შეცდომები.“

ჩვენი საუკუნის პოეტთაგან ცოტას გაუთავისებია და შეუსისხლხორცებია საკუთარი პოეტური ინდივიდუალობისათვის კოსმიური სამყაროს მრავალფეროვნება და სპეციფიკური ნიშან-თვისებები ასე

ბუნებრივად და ორიგინალურად როგორც ვაჟა ეგრისელს, პოეტი კოსმიური არსენალიდან ცნობილ ციურ სხეულებს სრულიად ახლებურად გარდასახავს, ახალ სულს შთაბერავს და მეორე სიცოცხლეს სძენს.

„დასალიერში მზე ისე მოჩანს
ლაფში ჩაფლული,
ვით ურმის მორგვი.
წვიმს,
ქარი თითქოს თეთრ თუთას არხევს
დღემ კი ღრუბლების ჯოგებს,
გადაუჭირა ცისარტყელას სახრე“.

ვაჟა ეგრისელის ლექსის ლირიკული პერსონაჟი ხან კრწანისის ველზე მობრდღვიალე ყაყაჩოა, მშობლიური მზით გაჩახჩახებული და მშობლიური წიაღის წვენით ნასაზრდოები, ხან მზის დარახტულ რაშზე, ვნებით აზარტულად აღტაცებული, ხან კი გრძნობა აფეთქებული ჭაბუკი, რომელიც აპრილის ქარიან დღეს ჩურჩულით ამბობს:

„დასალიერში ისევ ანთია
ჩამავალი მზის სუსტი კოცონი,
აპრილის ქარი, გაზაფხულის მზეზე
მყვირალი,

ზღვას მარილიან ტუჩებს
უკოცნის,
ეალერსება ხომალდების
გამხმარ ყვრიმალებს.“

უაღრესად ფართოვდება ვაჟა ეგრისელის პოეზიაში ხატოვანი მეტყველების ჩარჩოები, აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ლექსები, რომლებშიც პოეტის შთაგონების წყაროს წარმოადგენს არა ლიტერატურული ეპოქისათვის ნიშანდობლივი „მოარული“ იდეები და რემინესცენციები, არამედ მისთვის სინამდვილეში ბევრად ახლობელი მშობლიური ქარები, მზით გაჩირაღდნებული და აბრდღვიალებული საქართველოს ბუნება, ქართველი ხალხის წარსული, აწმყო და მომავალი. პოეტური ენის უშრეტ ბარაქიანობაში მჟღავნდება ვაჟა ეგრისელის ლექსის ფესვებიდან არნახული ძლიერება, მისი ღრმა კავშირი მშობლიურ ნიადაგთან.

ჩემთვის ბედნიერების ტოლფასია ეროვნული პოეტის ნათელხილვებთან ზიარება. პოეტის ჟინიანი და გაუცნობიერებელ ლტოლვაში, შეუძლებლის მიღწევისა და დიადი მიზნის ხორცშესხმისათვის ბრძოლაში ხედავს იგი სიცოცხლის, ადამიანური ცხოვრების განახლების არსს. პოეტის საუკეთესო სურვილები და განცდები მზესთანაა წილნაყარი.

„მოწყალეო ქრისტე, სიტკბოებით მოგვხედენ და ნუ მიმცემ მხსნელო, მადიდებელთა შენთა ხელთა მტრისათა, რომელი წარმუწყმედს უწყლოდ არამედ შემივედრენ ჩუენ სიგრილესა საფარველსა ფრთეთა შენთანა“.(იოანე მინჩიხი)

„ანგელოზთაგან კაცთაგანი გამოუჩნდა დიდი დიონისე ყოველთა, ვითარც ფრთოვანი განსწავლული გონებითა ზეციერსა მეცნიერებისათა“ (დიონისე არეოპაგელი.

ვაჟა ეგრისელისათვის მზე ულამაზესი მხატვრული სახეა და რამდენადაც დიდი სილამაზე ბოლომდე ძნელად გასაგებია, იმდენად ადამიანი თვალს ვერ უსწორებს მზიურ ნათელს.

იოანე პეტრიწს ზეციური მოვლენების ჰარმონია მუსიკას აგონებდა. მას მუდამ მუსიკა ესმოდა ზეციდან. პეტრიწს – როგორც ცნობილი მკვლევარი რევაზ სირაძე ბრძანებს: – „ხელოვნება აგებინებს მთელ სამყაროს, როცა პეტრიწს ვუსმენთ გვიჩნდება აზრი, რომ იგი ყველაზე მეტად ხელოვნებაზე და სილამაზეზე ფიქრობდა. შეისწავლა მათი კანონზომიერებანი და შემდეგ ამ კანონზომიერებათა მიხედვით მთელი სამყაროს გაგება მოიწადინა“.

მზე პერსონიფიცირებული სილამაზეა შოთა რუსთაველის ესთეტიკაში. ადრე მზის ძალით განიცდებოდა ადამიანური მშვენიერება. მზე პოეტის ხატია, პოეტისათვის ცხოვრება ნათლისა და ბნელის

დაპირისპირებაა. პოეტმა ისიც იცის, რომ მხოლოდ ზეგარდმო ლოცვა-კურთხევაა ადამიანის სიმართლის საყოველთაო ზეიმის მოახლოება, რომ ადამიანი მუდამ უნდა იყოს ჭეშმარიტების ძიებაში, რომ მზისკენ (ღმერთისკენ) გზა გაიკვლიოს, მხოლოდ მზესთან მიახლოებით მკვიდრდება უმაღლესი ფასეულობები. „კურთხეულ ხარ უფალო“ (დანტე ალეგიერი).

ვაჟა ეგრისელმა კარგად იცის, რომ მალე დადგება კოცონთა შუქით განათებული დრო. მაგრამ ჯერ კიდევ სუფევს სიღატაკე, ომი, წამება, წყვდიადი... მაგრამ ადამიანი ხომ მარად ადამიანი უნდა დარჩეს, რომელსაც ესაჭიროება სიხარული და მშვენიერება, ბედნიერება.

ყური დავუგდოთ პოეტს:

„მნათნი სინათლის ხელებს გიწვდიან,
   მისდევ მწვერვალებს,
ცად ასასვლელ წყვდიადს მიიკვლევ,
   ყომრალი ღამე უკვე ბაცდება.
და თუ დაეცი წუთისოფლის
ელვის ბილიკზე,
            მაშინ, ო,
მაშინ დედამიწა შებარბაცდება.“

ვაჟა ეგრისელმა მთელი ეპოქა შექმნა ქართულ პოეზიაში. ვის არ გააოცებს მისი ათასგვერდიანი

ტომეულების სიმრავლე... ვაჟა ეგრისელის ლექსის ინტონაცია არავისში არ შეგეშლება.

„როცა ვაჟა ეგრისელის წიგნს ავიღებ ხელში, ყოველთვის დიდი პეტრე იბერი მომაგონდება ხოლმე, რომელიც ქათქათა ტაძრებს აგებდა ღვთის სადიდებლად“...

ვაჟა ეგრისელი ლოცვისებურ ლექსებს აღუვლენს უფალს უნეტარესად“. (ნევენა ნიკოლოვა (ბულგარეთი) პოეტი.

ვაჟა ეგრისელის მზით გაბრწყინებული შემოქმედება – „ამაღლებულის“, უხილავისა და მარადიულობის ღვთებრივი ძიებაა“.

ვაჟა ეგრისელს პოეტური სიტყვის ლაკონურობა, სინათლე და დახვეწილება, სამყაროს კოსმიურ ძალებზე ფიქრი, მწვერვალებისკენ ლტოლვის განცდა, გამორჩეულ ადგილს უმკვიდრებს პოეტური ფერწერის ისტორიაში.

პოეზია თვითგამოვლენილი ჭეშმარიტებაა, რომელსაც სიტყვით ვერ გამოთქვამ. ვაჟა ეგრისელი მინიატურული პეიზაჟის დიდოსტატიცაა სულ ორი ან ერთი სტრიქონითაც გამოხატავს ბუნების თვალწარმტაც სურათებს: „თავზე დილის მზის გადგას გვირგვინი“, ...რადგან მათში არ სძინავს – სიყვარულის იმპერიებს „ავხედეთ ცას და ვაჟა ვიცანით“. „მზე ვითარც ვაშლი მიჩურინის“, „ხოხბის ყივილით დილა თენდება“. „ღამეს ელვის მახვილები გულს

უპობენ“. „ცა კუბოა მზით ნაჭედი ვარსკვლავების“ „შენ მზის შვილი ხარ ვით აიეტი და მიტომაა – მზეს რომ მიელტვი“. „შორს ღრუბლების კამეჩები ცის მინდორზე ღამეს ძოვენ“... „მიმავალი მზის ისმის ღიღინი“.

საოცარი ექსპრესიაა ამ სტრიქონებში, თითოეული მათგანი – სულ რამდენიმე სიტყვა ბუნების სრულქმნილი სურათია, ვაჟა ეგრისელის პოეტური ქმნილებები ჩვეულებრივ წარმოადგენენ არა რაიმე წინასწარი გააზრებული იდეური ხორცშესხმას ან ხილულ ესთეტიკური ჭვრეტის შედეგს, არამედ მთიდან ქუხილით დაშვებული ჩანჩქერივით შემოჭრილი შთაგონების უეცარი აშკაშების ნაყოფს.

„ვაჟა ეგრისელი ძალიან ახლოს არის ბუნებასთან. ბუნება მისი მხატვრული აზროვნების დაუშრობელი წყაროა, სადაც უხვად მოედინება საოცრად მომხიბლავი სახეები, ფერები, მეტაფორები... პოეტი რაღაც იდუმალი გრძნობით გრძნობს მშობლიური მიწის ენერგიას ანტეოსივით და ეს გრძნობა თანდაყოლილია, ხორციელი და გაუნელებელი, რომელიც კვლავ და კვლავ წარმოაჩენს ძალუმი მონახაზებით გამოკვეთილ პეიზაჟებს, რომლებშიც ადამიანური სიამაყეცაა და ბუნების პირველყოფილი მშვენიერებაც“.

„ფანჯრის რაფაზე
მიბმულია ფერმკრთალი მთვარე
და მთელი ღამე შეჰყურებს ბავშვი –
ეცოდება და...
უნდა აშვება.
ვარსკვლავთა ცეცხლზე –
მზის შემომდგარ
ღამის
შავ ქვაბში
დილა ირევა და
იხარშება.“

ამ ლექსში პოეტურ ენაზე, ლექსის სინათლის შუქზე წარმოჩნდება ფანჯრის რაფაზე მიბმული მთვარეც, ვარსკვლავთა ცეცხლზე შემომდგარი ღამის შავი ქვაბიც, რომელშიც დილა იხარშება და საერთოდ ლექსში დახატული მთელი სურათი ჭეშმარიტებად აღიქმება. პოეტი იყენებს სალექსო მეტყველების მისეულ მანერას.

ძნელია ჩვენი დროის პოეზიაში მეორე პოეტის დასახელება, რომელსაც თავისი ლექსი დაეტენოს ისეთი მძაფრი განცდებით, ისეთი თავდავიწყებით, საოცარი ექსპრესიითა და ყოვლისმომცველი აღტაცებით როგორც ეს შეძლო „შავლეგოს“ ავტორმა.

„ვაჟა ეგრისელი „ლექსის მეწყერად“ კი არა, ლექსების წარღვნად მოევლინა სამყაროს.

„ვაჟა ეგრისელს მარტო „შავლეგო“ რომ დაეწერა, ამითაც უკვდავყოფილი იქნებოდა ქართულ მწერლობაში“. (პროფ. სოსო სიგუა)

„ვაჟა ეგრისელმა მუხასავით გაიდგა ფესვი ქართულ მწერლობაში და ამაყად დადგა პოეზიის თვალუწვდენელ მინდორზე, ხოლო ზოგიერთი მორედაქტორო და მომწერლო ხელმოცარულები ხვართქალასავით მიწას გართხმული შურით და ბოღმით შესცქერიან დაბლიდან.“

ვაჟა ეგრისელი გამუდმებით გრძნობს კოსმიურ სამყაროსთან კავშირს. ზეცამდე ამაღლება კი ბადებს მარადიულობის შეგრძნებას, უკვდავების რწმენას. პოეტი ვაჟა ეგრისელი მშვენიერების, ამაღლებულის ხელშესახებ სურათებს ხატავს და ისტორიაშიც გვახედებს. ლექსი „მზე“ – მომავალსაც მიეშუქ-მიესინათლება ხოლმე.

„ყოველ დიდოსტატს ისე შევხვდებით როგორც ახალ მოვლენას. შემოქმედი არ მეორდება, არც შედევრები არ მეორდებიან. კარგი წიგნის გმირები, სიყვარული, დღეები, მხოლოდ გრძელდება მათი უსასრულო მრავალფეროვანი ნაკადი, ასევე არ მეორდება დიდი ხელოვნება, მხოლოდ გრძელდება, ამიტომ გვხიბლავს მარად ცოცხალი ხელოვნება და არ გვბეზრდება“. – წერს აკაკი გელოვანი.

ეს სიტყვები თამამად შეგვიძლია გავიმეოროთ ვაჟა ეგრისელზე, რომლის სულიერ სიმაღლეს ბიბლიურ მარგალიტებთან მივყავართ.

და მაინც: „მაცხოვარი მოდის, როგორც ქადაგი სიცოცხლისა, ახალი განმმარტებელი, მისთვის სიცოცხლე ადამიანების არის არა ბოროტება, მწუხარება, არამედ მადლი ღვთისა. შებღალული სხეულის განმწმენდი და მომამზადებელი სულისა მარადიული ცხოვრებისათვის, მისთვის სხეული, როგორც აღმოსავლურ რელიგიებში არ არის ბოროტება, საგანი უპირველესი უარყოფისა. მისი სხეული განღმრთობილია... მაცხოვარი ამტკიცებს ღვთიური და სასწაულმოქმედი ძალით ბუნებას ადამიანის სხეულისას, ამიტომ ქრისტიანი წმინდანები სასწაულებს ახდენენ არა მარტო თავისი მგზნებარე სულით, ქრისტეთი ავსებული სულის გასხივოსნებით, არამედ თავიანთი გვამის ნაწილებითაც, ნეშთით.“

„მზისებრ მბრწყინავი
საქართველოს ცის კაბადონზე,
ვითარცა ქუჯი და ფარნავაზი
გმირი ბევრია –
სამშობლოს ბედზე ღამენათევი.“

ვაჟა ეგრისელის გონების პათეტიკა სულის ლირიკაში პოულობს შვებას. იგი მშობლიური ცის და

მიწის, ღმერთის საუფლოს მჭვრეტელ პოეტად გვევლინება. მისი ლირიკული გმირი მუდამ მზის, მთოვარისაკენ ისწრაფვის და გაშლილი ხელისგულით, ცისკენ მზერააპყრობილი მაგიურ პოეზიაში ლოცულობს. ცით გაფანტული თეთრი ღრუბლები პოეტის აზრით, უფლის ცხოვრებაა, ცივ ღამეში ნისლით შემოსილი ღამით, ვარსკვლავთა კოცონს მიფიცხებული ანგელოზები იმედის, ნუგეშის წყაროა...

„შეუწყვეტიათ ომები ღვთაებებს...
ღამეა უსამანო და უწყინარი.
აღსავლით სივრცეები თეთრდება.
და...

ვარსკვლავები
ცაში რომ ბრწყინავენ,
შედედებული სისხლია ღმერთების.“

პოეტის სულს შვებას ჰგვრის და აღაფრთოვანებს მზე, რომელიც ცის ვეება ბუხარს ახურებს. ‘ქარი უბერავს და ნარკვერჩხლებით მზე, ცის ვეება ბუხარს ახურებს, დღეს – ცისარტყელას ადევს ურდული. მოდის სიმწვანე და გაზაფხული ოდის აივანს ავსებს ჟღურტულით...“

საოცრებაა პოეტის თვალით დანახული მზის სხივები. პოეტი მზესთან მიახლოებაში ეძებს თავის ოცნების ხორცშესხმას, იქ, ხომ ზეცაში სილამაზე, სიყვარული და სიცოცხლე სუფევს, პოეტის მზის ეს-

თეტიკა მოიცავს სიკვდილ- სიცოცხლის ამბებს, რომლებზედაც ჩვენ არაერთხელ გავამახვილეთ ყურადღება – მზით იწყება სიცოცხლე და მთვარდება წყვდიადით, ღამის უკუნით. ჩემი ღრმა რწმენით ქართულ პოეზიაში არავის არ გამოუხატავს ასეთი სულიერი სიახლოვე მზესთან, როგორც ვაჟა ეგრისელს.

ვაჟა ეგრისელს ეოცნებება უკვდავების ათინათი. ვფიქრობ საგანგებო შესწავლას მოითხოვს ვაჟა ეგრისელის მზისადმი მიძღვნილი ლექსები. უნატიფესი გრძნობებით უმღერის პოეტი მზეს, რომელიც მისთვის სიცოცხლის წყურვილი და სიკვდილისაგან განზიდვაა. მზე პოეტისათვის სიცოცხლის წყაროა, სიყვარულის ჯადოქარი. მაგრამ ადამიანი ხომ ბუნების ხმებს ვერ მოისმენდა, ვერ ჩასწვდებოდა მათ, თვით ბუნება რომ არ იყოს ღვთებრივი“.

და მართლაც:

„მზის წყვდიადით მოსილი,
იცის ცაში ბინადრობს
და თავს აღარ ანებებს:
ლოცვად –
მთიებს აღუვლენს
ვით დღეს დაუღამებელს.“

ან კიდევ:

„სანამ ჰყავს მზეცა და მთვარეც
და ათოვს ცის სიმყუდროვე
ჩვენს მიწას,
ხეთას და ფოცხოს,
მანამ ნაშიერი ნოეს
იმედის იმედით ცოცხლობს.“

ცის მნათობმა მზემ მთელი სამაყრო შექმნა ვაჟა ეგრისელის პოეზიაში, მზე მხოლოდ კი არ ათბობს ადამიანებს, არამედ უღიმის მათ და ამ ღიმილშია გამოუთქმელი მშვენიერება, პოეზია, რაც დედამიწაზე სიცოცხლის, სიყვარულის არსებობას მოწმობს; პოეტს გადმოსცქერის ცა ვარსკვლავებით დასახლებული, და მეწამული მზის ეკლესია სინათლის ზარებს რეკავს, და სწორედ მზის მარადიულ მოძრაობაშია იდუმალი ბრწყინვალება, რამეთუ პოეტი ნათლად გრძნობს, თითოეული ჩვენთაგანი წინაპართა ფესვებიდან ამომავალი ყლორტებია, რამეთუ წინაპრები მიწაში უხვადაა ჩათესილი. მზის სხივების მსვლელობაში პოეტი ლოცულობს და უსმენს სამყაროს ჰარმონიას:

„გადმომცქერის ცა –
ვარსკვლავებით
დასახლებული
და განთიადზე აღმოსავლეთით

რეკავს სინათლეს
  მეწამული მზის ეკლესია
ჩვენ ამოვდივართ ფესვებიდან ჩვენი წინაპრის,
რადგან მიწაში წინაპრები უხვად თესია“.

(„მზის ეკლესია“)

„მზის ცელის“ – უფლის ნების ხორცშესხმას მიაქვს სასწაულებრივი განცდა და სიხარული.

„ღამის კართან მოწყენილი
  მარტოსული
    დგას ცირცელი,
და არტყია ნისლი შიბად.
  მოვა დილა
    და მზის ცელით
ცად ვარსკვლავებს გადათიბავს.“

ან კიდევ:

„სიხარული ისევ გათბობს
მზის ბარქაშით
  მთვარის თეფშით
და სიცოცხლე...
  ასე ოცდამეერთეში
მხრებგაშლილი შეაბიჯებ.“

ვაჟა ეგრისელის მეტაფორული სამყარო საინტერესო და თვითმყოფადია, სახეები და სურათხატები, რომლებითაც პოეტი თავის ნაფიქრალსა და ნააზრევს გადმოგვცემს ფერადოვანი და ნატიფია.

პოეტმა კარგად იცის, რომ ყოველივე და ყველაფერი წარმავალია, დროს ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს, მაგრამ პოეტს სწამს, რომ ერთადერთი გზა ერის ხსნისა და გადარჩენის უფლისადმი რწმენასა და ერთგულებაშია. უფალი პოეტისათვის არის მზეც, ნათელიც და მარადიული სიმშვიდეც.

დიახ, უფალია შემოქმედი და მფარველი ღვთაებრივი ჰარმონიისა, მადლს სწირავს უნაპირო წყალობისა და სიკეთისათვის. აკი უფალი მოძღვრავს თავის სამყაროს მოყვასის სიყვარულით:

„ჩემ თანა მშვიდობა გაქუნდეს, სოფელსა ამას ჭირი გაქუს, არამედ ნუ გეშინიან, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა“.

პოეტისათვის მზე არის სასწაულებრივი ძალა, სიხარულის, სინათლის, სიცოცხლის მაცნე. ბუნების მშვენიერებისადმი სწრაფვა სიკეთით სულის თვისებაა, და თუ ეს შინაგანი თვისება მუდმივია და ხალისით ერწყმის ბუნების ჭვრეტას, მაშინ ზნეობრივი სიმაღლეების დასალაშქრავად მიგვანიშნებს, ვაჟა ეგრისელის მზისადმი მიძღვნილი ლექსები – აცისკროვებენ ირგვლივ ყოველივეს, აღძრავენ ესთეტი-

კურ გრძნობას. რა მართებულად ბრძანებდა აკაკი თოფურია: „სტრიქონებს შორის დარჩენილ არეებში ბუდობს აზრის უხილავი ნაპერწკალი“.

ვაჟა ეგრისელის პოეტურ ნათელხილვებს უნიკალურ მხატვრულ ფანტაზიაში აქვს ფესვი გადგმული, საიდანაც მზესავით მოელვარე სილამაზე შემოგვანათებს. მომხიბლავია და საოცარია იგი, როგორც ცის გახსნა...

მაღალი მზის საიდუმლოება მხოლოდ პოეტის სულიერ სამყაროშია, პოეტს სჯერა რომ ღმერთი ციდან უთვალთვალებს, საცაა დედამიწაზე ცისარტყელებად დაეშვება, მხოლოდ პოეტმა იცის ცის გახსნისას რას ჩაუთქვამს:

„ადიდებული, ღამის გაღმიდან,
მზეს ყივის
როგორც მამალი,
თუმც ნათლის წვეთი ჩაუქრა.
უნდა გაიხსნას
ცა მალე,
მე ვიცი, რასაც ჩაუთქვამ.“

ან კიდევ:

„ზღვის ლაჟვარდოვან სიმსუბუქეში
ქარები

უფრთოობას ითმენენ...
ცაში ღრუბლებმა ატეხეს ხმაური
როდესაც ჩაუყო უბეში,
ცისარტყელამ –
ფერადი თითები.“

ვკითხულობ ამ სტრიქონებს და ვგრძნობთ ანტიური სისადავითა და ძალით როგორ ეჭრება პოეტი მატერიას, ვხედავთ იმას, თუ როგორ ახდენს სასწაულებს ამაღლებული და გამარჯვებული სული.

ციალა მესხია
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

ნაწყვეტი წიგნიდან – სასწაული და ფანტაზია
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)

გაგრძელება შემდეგ ტომში

***

კუდიანი ვარსკვლავები
კუდებს კვლავ მიაქნევენ,
რომ ნათელი –
წყვდიადს შერთონ!
უხილავი არის, ღმერთო,
გზა... და
შენი საქმენი!

1989

მიწისძვრა

შეტორტმანდა დედამიწა
    და ხეები ცად საფრენად,
    მიილტვიან და იძვრიან...
და წამოცდა იაღოველს:
    – ო, არასდროს არ მიგვრძნია
    უფლის ასე სიახლოვე!

1970

სიცოცხლე და
სიკვდილი

წუთისოფლის მტვრიან გზაზე –
სიყვარულის ოქროს ღილი,
მოკვდავთ მაინც აგვიწყდება,
რაგინდ რწმენას არ ვაქსოვდეთ!
სიცოცხლეს ჩვენ
ვავიწყდებით,
მაგრამ სიკვდილს – არასოდეს!

1961

შური

“შური არს წუხილი,
სხვის სიკეთესა ზედა”.
საბა

რადგან ქვეყნად მოხვედი ელვად,
ჭექა-ქუხილად,
რადგან შენმა კოლხეთმა
ნისლში მთვლემარ სამყაროს
თვალები აუხილა!
და შთაბერა ღვთის სული
ხილულსა და უხილავს,
მიტომაა კაენებს ჰკლავთ
შური და წუხილი...

2017

მაისის 15

მაისის თხუთმეტს მოსული,
    წახვალ მაისის კვირის დღეს!
    ჟამი არ მოგცემს არჩევანს.
და საფლავს –
            ღიად დარჩენილს –
            ლაკარტით ჩააგვირისტებს.

2017

ეს მე ვარ, ვინც ვარ!

(ვარიანტი)

ზღვები და მთები,
ეს ცა და მიწა,
მსოფლიო ხმები,
დღეცა და ღამეც,
“ეს მე ვარ,
ვინც ვარ!”.

1961

კოლხეთი – სამყაროს საშო

ზესკნელს არა,
შუასკნელში,
არის ქვეყნის ცა-მყარი.
მოციმციმე მთიები,
წამის სათამაშოა.
კოლხეთი კი სამყაროს –
პირველქმნილი საშოა!

1969

***

ასი ათასწლეულის იქით,
მნათთა წყვდიადში,
სპირიტივით[1] შეუვლი
საოცრებებს უდიდესს.
შენი სულის სხეული,
ოქროდ გადმოაწვიმებს –
სიკვდილისფერ ფლუიდებს[2].

1959————————

1. სპირიტი, სპირიტიზმი (ლათ.) – ცრურწმენა...

2. ფლუიდი (ლათ.) – სითხე. სპირიტების წარმოდგენით "რაღაც მექანიკური დენი", რაომელსაც თითქოს გამოასხივებს ადამიანის სხეული.

***

(ვარიანტი)

მეცხრე ციდან ჩამოსული
მწუხრი როცა სამეგრელოს,
შემოსავდა სერს დაფნითა,
მაშინ ხმები მოგესმოდა:
ანგელოზთა,
ქერუბიმთა
და ექვსფრთიან სერაფიმთა.

1958

ხმა

წარსულიდან ქარს ხმა მოაქვს,
– დავიწყების ნისლი ფარავს
ტაოს,
ხანძთას,
ბაგინეთსო!
კარს მომდგარა მაოხარი,
მუშტს გვიღერს და
გვაგვინებსო!
ხმალს – ჟანგი ჭამს,
შიში – სიტყვას,
სარუსთველოს,
სანიგესოს.

1973

***

დღე არის თუ ბინდია –
აქედან იქ ნიადაგ
მიდიან და მიდიან –
კენტად,
წყვილად
გუნდებად!
და ტოვებენ კარს ღიად.
ნუთუ ისე კარგია
იქ ყოფნა, რომ ცოცხალი
უკან არვინ ბრუნდება!

2007

თეთრი არაგვი

ვაჟას მთებს ესმათ მტვრევის ხმა
თბილისის ციხის კარების...
თეთრი არაგვი შავ არაგვს
ფასანაურთან სტოვებს და...
თითქოს, ვით სამას არაგველს,
მეფე ერეკლეს საშველად –
თბილისში მიეჩქარება...

1963

***

საქართველოს მთებს სიმაღლე
ემატებათ,
განა იკლო!
და არიან ცათა დგმური:
შუა ერმანი[1]
რესი[2],
დიკლო[3],
უშგული[4] და გუდაური[5].

1999

1, 2, 3, 4, 5 – საქართველოს მაღალ მთათა სოფლები.

1. შუა ერმანი – 2160 მ. ზღვის დონიდან.
2. რესი – 2360 მ.
3. დიკლო – 2160 მ.
4. უშგული – 2160 მ.
5. გუდაური – 2160 მ.

სინდის ციხე

ანანურს გაცილებულ მტერს,
ღულის ჭალა სულ არყევდა...
და ახლაც სინდის ციხესთან
მომესმა ბრძოლის ყიჟინა
მთიულელ – გუდამაყრელთა.

1977

ოჯალეში

მეგრულ ფაცხის ლაფაროსთან
ბახუსს ძინავს გალეშილს
ცაში მთვარის მოჩანს ბორცვი.
ვით ღვთის სული –
ოჯალეში,
კვლავ მოიწევს ცისკენ ლოცვად!

1963

***

როდესაც შენი სიცოცხლე,
უცებ შედედდა,
შეხორგდა! –
წამი არ დარჩა ხმობისა.
ტანს გააჟრჟოლა
შენს ხორგას,
ცრემლები წაძცდა ხობისწყალს.

2017

ქანაანი

მათ უღალატეს მოსეს და
რწმენასაც,
ამიტომ ღმერთებმა ცოდვები ანანეს.
და კოლხ-ებრაელთა საცხოვრისს
ქიანას* –
უწოდეს "ქანაანი".

1974

* ქიანა (მეგრ.) – ქვეყანა.

თალმუსი

დღეების და ღამის იქით,
სიცოცხლეს და
მიზანს სახავ,
მზის და უფლის მადლმოსილი.
შენ ცისა ხარ,
შენ სულ სხვა ხარ,
ზესკნელ-შუასკნელ და ქვესკნელის,
მომხილველი თალმუსივით*.

2017

---

* ოალმუსი – გონების თვალი.

***

ვით პაოლო,
მეც გაგდებთ,
დიდ პოეტებს ნამუსზე!
ტანწერწეტა ლერწმების
ვინც უკრავთ სალამურზე,
თქვით,
ჩემბრ სხვას,
ვის უხმობს
ზღვა, ვით რუალად ამუნდსენს!

2017

ცეცხლოვანი ყვავილი

მეოცე ცის თაღამდე,
ღამის მთიან აღმართებს,
ვით დილის მზე, აივლი,
ნახავ "ᲐᲗᲐ[1]", ვით ჭირავს
"ცეცხლოვანი ყვავილი[2]".

1967

---

1. "ᲐᲗᲐ" (ეგვიპტე მით.) – შემოქმედი ღმერთი.
2. "ცეცხლოვანი ყვავილი" – მოაზროვნე ნათელი

აია კოლხეთი

(ვარიანტი)

პონტოს ზღვის სანაპიროზე
ოქროს ბღაოდნენ ოქროსვე,
რქა-ჩლიქიანი ვერძები
და ოქრო ოხრად ეყარა...
იყო "აია კოლხეთი" –
დედა ღვთისმშობლის
ქვეყანა.

1959

ელისეის მინდვრები

ოქრორეულ მთიებით,
ჰოი,
ვით ამშვენებდა –
მზიანი ამინდებით,
მეცამეტე არე ცის,
ზესკნელს – ჭალა არესის,
ქვესკნელს – თვალუწვდენელი –
“ელისეის მინდვრები”.

1960

მამალი ნაკვერცხლები

მშობელს რომ ჭვრეტენ ჭმუნვარეს,
თვალები დარდით ევსებათ.
იწვიან...
აღარ ცხრებიან...
შენი პაწაწა ლექსები –
მამალი ნაკვერცხლებია.

1959

პირამიდები და ზიქურათები

შენი “კოლხური ფსალმუნები” –
პლუტონს[1] იქით მოციმციმე
პაწაწინა მნათებია.
უფრო სწორად,
ხეოფსის კი არა,
ციცქნა პირამიდები
და ზიქურათებია[2].

1993

***

მოვდივართ...
        მოვალთ ტირილით,
        ცრემლი გვდის შეუშრობელი...
და ვეფიცხებით მზის კერას!
იქ კი ცა –
        დედამშობელი
        მიწის სამოსელს გვიკერავს!

1957

***

შოორს,

ცხვირკაუჭა მთვარე რომ,

ცად რომ ჰკიდია ხელეჩოდ,

არა მგონია რამ გარგოს!

შენ, ქართულ სიტყვის ცხენენჯო

და...

პოეზიის აბრაგო!

1958

***

ხობისწყლის ნაპირთან დამსხდარან
“აია”-შვიდი ძმა,
და-ორი,
და ჭვრეტენ ამღვრეულ ტალღებში –
ძველ ეგვიპტელთა სამებას:
ოსირისს,
ისიდას
და ჰორის.

1960

კვაზებსა და კვაზარებს

ბაზალეთის ტბის პირას
ედგათ ოქროს აკვანი
და ელიან მკვდრეთიდან –
“აღდგინებას ლაზარეს”.
დარი უდგათ ზოგ-ზოგებს –
მეცხრე ცამდე აყვანილ
კვაზებსა[1] და
კვაზარებს[2].

1971

---

1. კვაზი (ლათ.) – თითქოს, ვითომც და... მოჩვენებითი.
2. კვაზარი (ინგლ.) – ცრუვარსკვლავიერი.

პირაქეთ და პირიქით

ვინც აქ ეხეტებოდა,
არც იქ იშლის ხეტიალს!
და ვინაც აქ ტიროდა
თურმე, იგი ტირის იქ.
ერთი ჯოჯოხეთია
პირაქეთ და
პირიქით!

2015

სოკო

სურს დაუდგეს –
ღმერთს მსახურად –
სიყვარულის გამო სურს!
სოკოს თავზე რომ ახურავს
ქუდი არის ნამუსის.

1956

***

საიდანღაც ხმა ისმის:
ირგვლივ ქება,
დიდების
მთებია და ზღვებია
და, პოეტო, ნუ ითმენ!
რადგან ეს არ რგებია,
ვაჟას,
გალაკტიონს და
თაგორსა და უიტმენს!

2017

ძველ კოლხურად

(ვარიანტი)

ათას სიძულვილს გადარჩენილი,
სად სიყვარულის ბორგავს
მორევი,
მოვალ ისევ და კვლავ
ძველ კოლხურად,
მარცხენა მხარზე გეამბორები.

2017

ცოცხალ-მკვდარი

მზერას იქით აყოლებდა,
საით უბერავდა ქარი!
თურმე გვარზე ხტება კვიცი!
ცოცხალია...
მაგრამ მკვდარი!!!
ვერ მიმხვდარა,
ჯერ არ იცის.

2017

დეკემბერი ზღვაზე

უკაცურ სანაპიროზე –
ბოლთას სცემს ზღვა არხეინად.
კბილს კბილზე აცემინებს
სიცივე.
მთვარე მიუყვება ღრუბლების ხეივანს
და ცა ვარსკვლავებს
იცინის...

1957

სამეგრელოს მერამდენე დალაშქვრა

ლეგენდიდან გადმოსულო,
ლაშებდაღრენილო მგელო!
მტერს სათოფედ არ იკარებ!
მიდი! –
ვაჟა ეგრისელო,
რკინის ხელი ხმალს იკარი!

1993

“მეფეთა ველი”

(ვარიანტი)

ლეგენდებით დანისლულ
ვდგავარ “ველზე მეფეთა”
და ვჭვრეტ: ცაში შეფრენილ
პირამიდებს და
ტაძრებს:
რამზესის და ამონის,
ჯოსერ,
ხეოფსს,
ხეფრინის,
რაც სასწაულს მაგონებს.

1972

***

ტანშიშველ ელვას,
როგორც ჰეტერას,
ღრუბლები მთვარის კოშკში კეტავენ.
ზღვა კი წამის წინ
სულგანაბული,
ახლა ქვეყნად რომ ვეღარ ეტევა,
რამ შეაშფოთა ასე
ნეტავი?!

1956

***

ო, როგორ უხდება ქალწულ ცას,
ცისარტყელას შვიდფერი ნაწნავი
და ტყორცნა შორს –
ელვის ქამანდის.
ჩვენ ყოფნას ვუწოდებთ...
სანამდის,
სიკვდილი –
სიცოცხლეს არყოფნას
ასწავლის.

1960

***

ქვეყნად ვეღარ დატეულო,
მეხთა-ტეხავ
და ცვარ-ნამო,
ცის და მიწის შუა-ხიდო.
უხილავო,
უსამანოვ,
უჟამოვ და "ღმერთზე დიდო*".

1964

---

* ინდური – "ბრაჰმანი".

***

ჩამავალი მზის ნაფეხურები
ღამის ბილიკებს მისდევს
ზოლივით.
მნათები მნათებს ტყვიაში აჯენენ...
შენ კი საფლავი,
მეცხრე ცაში გაქვს
მოზომილი –
ცისარტყელას ფერადი საჟენით.

2017

სიკვდილ-სიცოცხლე

ქვესკნელი რავი...
მაგრამ ზესკნელი –
ვარსკვლავების ცრემლით
ირწყვება,
რომელსაც ჟამმა უკვდავება შემოაქსოვა.
ზოგჯერ სიცოცხლეს –
ჩვენ ვავიწყდებით,
მაგრამ სიკვდილს კი მუდამ ვახსოვართ.

2017

უფლის სახლი

ჩემი დღეები და იმედები –
            გამოესხმება შენს ცას
                        მნათებად
და ღამის ტოტებს წამიერ დახრის!
შენი სახელი,
            ვით უფლის სახლი,
            მთათა მწვერვალზე აღიმართება!

2013

ქა-დინგირა

ქართული ცის თაღიდან
რწმენაცა და იმედიც,
წვეთავს, როგორც მირონი,
რაც სიხარულს მანიჭებს;
რადგან,
ვით ბაბილონი*,
ჩემი საქართველოა –
უფლის ოქროს კარიბჭე.

1987

* ბაბილონი (შუმ.) – ქა-დინგირა-"ღვთის კარიბჭე".

ზურმუხტის დაფები

(ვარიანტი)

თეთრი,
ქათქათა ღრუბლები,
ცას რომ მოუშვია –
თმა-წვერივით,
მიწაზე სიმშვიდეს აფენენ...
“კოლხური ფსალმუნები” –
ატლანტიდელთა დაწერილი
არის “ზურმუხტის დაფები”.

1991

სადღეგრძელო და ლოცვა

საწყალ დედამიწაზე
ბრუნავს ცოდვის მორევი,
თუმც გვიხდება
დიდხანს მოცდა.
ღმერთთან ადის ორივე –
სადღეგრძელოცა და
ლოცვაც.

2007

ასტრალური გზა

ლეგენდიდან მოფრენილს,
ლურჯი ფრთები –
გშვენის ცის,
აშკარაც და ფარულიც.
ეგრისელო!
შენ იცი...
გზა გიძევს ასტრალური.

1969

ისევ კოლხეთი

“საშოს მსგავსია ქვესკნელში სულთა სამყოფელი”.

მესამე ეზრა.

ვით სიცოცხლეს,
სიკვდილსაც,
ახლავს თავის ხალისი,
ცა-სულ ახალგაზრდაა,
და მიწა – კი ბებერი.
ქვესკნელიდან ხმა ისმის:
– კოლხეთია სამყაროს
“საშო-საბადებელი”.

1983

მთვარე –
მურმანი

მიწყდა ღელვა...
        და ზღვისკარად,
        ჩუმად ჩამოეშვა მწუხრი,
(მნათთა ოქროს პურ-მარილით).
        და ცამ მიწას (რუსთველივით)
        ისევ მოუყარა მუხლი,
მაგრამ უცებ მიჯნურთშუა,
        მთვარე ჩადგა მურმანივით.

1957

შავი ზღვა

სავსე ქარიშხლით და
სივერაგით
ზღვა –
მთვარისტოლა არის
ფინჯანი,
სად ზვირთთა შავი ბუმბერაზები
ერთურთს ძალას და
მკლავს უსინჯავენ...

1956

მთაში

სიჩუმის რაშზე ამხედრებული
მთვარე მწუხრისას –
აქ ჩაივლიდა,
ახლა, შორს სადღაც ჩანს გარიყული,
შენ კი დამ-დამით გადმოდგები
ცის აივნიდან
და დაეყრდნობი ვარსკვლავების
ოქროს რიკულებს.

1957

“აიეზი”

ორ წარღვნას გადარჩენილ –
ძირ-ძველ ატლანტიდელთა,
ნაგრამებს
და ნაშიერთ:
დოლბ “ა-ი-ე-ბს”...
სხვა “ა-ი-ე-ბს”...
ხროვამ ათასწლეულების
(ვითა ბრძანებებს ოვიდი.)
სიკვდილი მოაშიეს...
მაინც დღემდე მოვიდნენ.

1957

მზე

მზე ცისკრიდან –
მიმწუხრამდე,
სიყვარულით კვლავ დაიწვა
და მივიდა ამით ღმერთთან,
ჩასვლისას კი ცა და მიწა,
ერთმანეთან შეაერთა.

1954

***

(ვარიანტი)

ნარიყალას ძველ სანახებს
დასდებია ფერი ლილის
და ჭმუნვით მზერს –
გორგასალი.
მეტეხთან კი გორდასავით
ჩაუბღუჯავს მტკვარი
თბილისს.

1960

ცა და დედამიწა

მწუხრიდან –
განთიადამდე,
ისმის მნათობთა ღავღავი,
სანამდე ჩააწყვეტინებს
ხმას დილის ტკბილი საარი.
დედამიწა კი ღამ-ღამით,
ამობრუნებული ცა არის.

1954

***

ადარ იყო ჯერ კოლხეთი,
მაგრამ მტერი გარს უვლიდა...
სწორედ მაშინ –
შენ მოხვედი
მომავლის დიდ წარსულიდან.

1959

***

მილიონი კი არა...
ეჰეი!
რა ხანია,
ყველანი – დიდები და პატარები,
ელიან მოკივლებას
მატარებლის!
რადგან სიცოცხლე –
მოსაცდელი ბაქანია.

1964

ორი ვარსკვლავი

ათასწლეულების მერე,
წმიდა ნინოს ნაგუმანევ,
ვარსკვლავთ ბედი
კვლავ მაბოდებს
(მანიშნებელი სამოთხის).
ერთი რომ ჩნდა დაბა ბოდბეს,
მეორე კი –
მთაზე თხოთის.

1966

ხილვა: კოლხი და ხეთი

ხმელთაზღვიდან ფიქრით ვხედავ:
ათასწლეულების იქით,
კოლხი – ხეთთან
ბადეს შლის
და ხარობენ ქალაქები:
მერსინი და ჰათუთაში,
ალიშარა,
ქარათეპჰე,
ენქიუ და ქადეში.

1971

***

როდესაც მიწყდა ქარის ფეხისხმა,
შემომეგება ზღვა,
ვით მორჩილი,
ლოცვით დაღლილი...
შავით მოსილი,
მშვიდი და...
ოდნავ თმააქოჩრილი.

1960

ცეცხლი-უფლის სიტყვა

მზე –
        მეხით ფერდშენგრეული,
        ჯვარს გაკრული არის ქრისტე
და არ აკრთობს ელვის ყულფი.
ცეცხლი მიტომ იწვევს –
                ცისკენ,
            რადგან სიტყვა არის უფლის.

1991

მარტყოფში

ჩაქრა რწმენა!

არ ნათელობს!

წინაპართა ნათელ ხსოვნას,

ცრემლს არავინ არ აღვრის.

დღევანდელი საქართველო,

ერთ მარტყოფად არა ღირს.

1992

ᲬᲘᲑᲜᲘ – “ᲘᲫᲛᲔᲜ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ!”

რაც რამ მქონდა “სიმდიდრე”,
აი,
აქ დავაუნჯე:
სიცოცხლეც და სიკვდილიც,
ეკალიც და
ყვავილიც.
აჰა, ჩემი საუნჯე!
ამის გარდა უპოვარს,
არაფერი არ მივის.

1993

პეგასი

მილიონი წლის იქიდან,
მითებით და
ლეგენდებით,
კოლხეთს! ("ცალფა[1]") ზღვისკენ მოქრის...
ჩაუქროლა პირამიდებს,
ციხე გოჯს და ციხეს მოქვის.
კოლხო! მე შენს ზღაპრულ პეგასს[2]
ვცნობ თქარუნის ხმაზე –
ფლოქვის.

1961

---

1. "ცალფა" – ერთგასასვლელიანი – ასე ერქვა პრეისტორიულ შავ ზღვას.
2. პეგასი (ბერძ.) – ფრთოსანი მერანი.

***

დუმს პონტო, დიდ წინაპართა
ნაფეხურების მკოცნელი,
თუმცა ჩე გოლას და
ეკის მთებს
ხმა ესმით მეხთამტყორცნელი
ზევსის...
ვითარცა პრომეთეს,
ერთად ამარცხებს სამ დიდ ძმას:
ატლანტს,
მენეთოსს,
ეპიმთეს.

1969

***

მთვარის ნაკვალევს ვინ წაშლის?!
ცის ოქროს ყანის
მეველის.
იელვებს უცხო ძახილი:
– ვინც რომ ჩავიდა მიწაში,
ცად ჰპოვა –
სასუფეველი...

2014

მეტეხთან

უცებ მესმა ხმა საყვირთა,
                  დაფების და
                              წინწილების,
და ისრებიც იწივლებენ...
                  და ხმობს მარეკს –
                                  მარეკი –
მეტეხთან და...
                  საუკუნემ
          მეხუთემ წამს დარეკა!

1961

აფსუ და თიამათი

უფლის შექმნილ ცას და მიწას,
ვერაფერი მიამატა,
ვერც აფსუმ და
ვერც თიამათიმ.
რადგან ქვეყნად ერთადერთმა,
ეს სამყარო შექმნა ღმერთმა.

1956

მთები

მდგარი ღრუბლების მაღალ
კვარცხლბეკზე,
        მთვარე ღმერთების მოჰგავს
                ობელისკს.
და... მთებს ზე-ცაში ეგულვით
                ქრისტე
(თუმც უყვართ მიწა,
                როგორც მშობელი).
        თვალები მაინც გაურბით ცისკენ.

1962

იტალიური გამოფენა

ვითა ღვთისშვილ არსაკიძეს,
ხეკორძულა –
უკვდავების
წყარო პეშვით დაელიოს
და დილის მზედ მიტომ ენთოს:
მურილიო,
კასილიო,
ჯორჯონე და ტინტორეტო.

1981

“კოლხური ფსალმუნები”

(ასტომეული)

წარსულშიც და მომავალშიც –
იგი ვეფხისნახტომია...
მორჩა!
არ ჩანს ცა და ხმელი!
ვერაფერი ვერ უშველის –
შენს “ფსალმუნებს” –
ასტომიანს...

2017

აიეტიდები

„კოლხები („აიეტიდები”) – მზის შვილებია.“

ვაჟა ეგრისელი

მზე ვეღარ მცნობს თავის თვისტომს,
და სიბერით დაზვინული
ეუცხოვა შენი კეფა!
(ცაა, ვითა ამეთვისტო).
სიკვდილმაც კი ვეღარ გიცნო,
ერთი ორჯერ
შეგიყეფა.

2017

ისევ ბაბილონი

(ვარიანტი)

ცისკენ ლოცვად იწევდა,
ვაზის მორჩი ბაბილო...
მნათებს აკვანს ურწევდა,
იჯდა მთვარე აკვანთან.
სწორედ მაშინ ბაბილონს,
კოლხი,
მეფე ცხრა ჰყავდა!
ეჰა!
მას შემდეგ სამყარო
ბევრჯერ დაჭკნა...
და აყვავდა!..

1960

ფიცი

გფიცავ! დიდი ფშაველის –
ვაჟას მთებს და
ფშავლობას.
ეგრისელის ზღვებსა და
ვაჟას ეგრისელობას,
როგორც მეფე დავითი,
რომ არ გავაჭაჭანებ,
ქვეგამხედვარ "ბაღვაშთა" –
(ზოგ დღევანდელ "ქართველთა"
ორგულობის მცდელობას!

1992

***

ზღვა აბრაგია,
ნისლს და რიფებს რომ
ეფარება
და ხანაც კი არის ყაჩაღი, –
ჩასაფრებული,
მოულოდნელად,
ქარიშხალის ცეცხლს რომ აჩაღებს.

1960

ენკენის თვე,
სურწყუნისი,
ვარდობის

საიდანღაც –
ხმა მოისმის ურწმუნოსი:
– სანამ მოვა თვე ენკენის[1]
და ან თეთრი სურწყუნისი[2],
ვარდობისთვის[3] ყვავილებით
ვიცი დავიბეკნები.

2015

---

1. ენკენის თვე – სექტემბერი.
2. სურწყუნისი – თებერვალი.
3. ვარდობის თვე – მაისი.

კავკასიონის მთები

მთებს ზამთარივით თეთრით მოსილებს,
და მეცამეტე ციდან მოსულებს,
ვხედავ ორსულებს!!!
ალბათ დაღლილებს როცა ეძინათ,
კლდეს მიჯაჭვულმა
ამირანმა დააფეხმძიმა!!!

1956

ნამცვრევი და არაბესკი

შენ “კოლხური ფსალმუნების”
ციცქნა ტაძრებს და
ფრესკებს –
შემორჩები სიყვარულად,
ვით რუსთველის დიდი სიბრძნის
ნამცვრევი და არაბესკი*.

1962

---

* არაბესკი (იტალ. არაბ.) – რთული ორნამენტი...

თუკი

ათა-ბაბადან ასე ყოფილა –
არყოფნას,
ყოფნა მუდამ ამშვენებს,
თუკი საკუთარ ჯვარზე ეცმევი.
სადღაც წყვდიადში ბრწყინავს
საშველი,
თუკი საკუთარ თავს გაექცევი...

2017

***

მეხის ძახილზე მოვა მოხვია*,
წყვდიადს გაარღვევს
ნათელი ელვის.
შენ გსურს უმღერო და უგალობო
და უსპეტაკეს წელზე მოხვიო
თვალუწვდენელ სივრცეებს
ხელი.

1965

* მოხვია (მეგრ.) – თავსხმა წვიმა.

ტრაქტატებს და დღიურებს

ოქროს წიგნებს აგროვებ,
ვით ზურმუხტს და
აქატებს,
და მერე შენ იურვებ –
დიურერის – "ტრაქტატებს",
დელაკრუას – "დღიურებს".

1979

შაშვის ჭახჭახი

(ვარიანტი)

ცისკენ თვალებმიპყრობილი,
გალობით ღამენათევი,
ნათელს ჰფენს ქოხს და
სასახლეს!
განთიადისას ბაღებში
შაშვი რომ გაიჭახჭახებს.

1960

წარღვნა

მეათე დღეა,
ცა ტირის,
პირს იხოკს ელვის ფრჩხილებით
ცრემლი სდის ერთობ ულევი...
(მიწა კი მაინც ქვიტკირობს).
ცას სურს,
რომ მკვდართა სულები
სულ ერთად გამოიტიროს.

1962

***

დაზვინულა მთიებით
ღამეულ ცის კარავი.
და ხე იწვის სანავე,
თუმც ალვა უნანავებს –
ფოთლების სველ მარაოს.

1964

***

ფეხისხმა რომ ესმა გრიგალის,
ზღვამ უცებ აღელვება ინება,
ზეცას კი არ უჩანს
არც მზე და არც კიდე.
შავი ღრუბლები გარეცხეს წვიმებმა
და მერე ქათქათა,
ელვის წვრილ ბაწარზე –
გაკიდეს.

1969

ლეჩხუმი

აკადემიკოს გიზო ახვლედიანს

ჩამოუვლია აქ ქრისტეს,
(მთები ზოგჯერ სულ მრუმეა!)
მერე მისულა წყალთან და
აუხედია მას ცისკენ,
უთქვამს:
რა სალეჩხუმეა*!

1968

* ჩხომი, ჩხუმი (მეგრ.) – თევზი, "სალეჩხუმე-სათევზაო.

მიწა, ცა

მთელი ღამე ვარსკვლავები
ცის და მიწის ჩურჩულს
უსმენენ...
და ვით ოდესღაც ოსირისმა[1] იზიდა[2],
ზეცამ ხელში რომ ვერ აიყვანოს,
ვერ მიიზიდოს,
მიჭედილია მიწა ქვესკნელს –
ხეთა ლურსმნებით.

1970

იავაში

ქარიშხალი კვლავ ართულებს,
ჩემს სტუმრობას –
ცივ კუნძულზე იავის,
თუმცა მართობს მე ქართული –
ათასეულ წლის იქიდან
მოტანილი სიმღერები,
არავის* და ნიავის.

1990

---

* არავი – სამხრეთის ქარი.

***

ჰელიოსის ნაშიერი.
მიწას არა,
შენ ცას ყვარობ!
რამაც ზოგი დააბრმავა,
ზოგს თვალები აუხილა,
შენ რომ ხედავ, ის სამყარო,
მათ სიზმარშიც არ უხილავთ!

2015

პირამიდები

ბუმბერაზ მთებს შიგნით,
წინაპართ ნაგები
წუხან პირამიდები,
რომლებიც წუთისოფლის
სივერაგეს –
პირს არიდებენ!

1979

***

სადღაც მეჩეთთან მოლას
ყივილმა,
დღეთა სიშავე უცებ მოდენა,
ამოთავთავდა ძველი იშხანი.
და, ზღვაო,
ასე მოულოდნელად,
რამ გათქმევინა ეს
ქარიშხალი.

1959

***

სალი კლდიდან ჩამონათალს,
მარმარილოს მოჰგავს ფიქალს,
მას,
ვერ გაშლის აწ მეხი –
გრდემლზე ნაჭედ შენს ნაფიქრალს
დაწნულსა და
დაწნეხილს.

2010

***

ვითარცა კრწანისს,
მსურს ქართლის წარსულს
ჩამოვაცილო,
წიწამურთან მორიალე ლანდი
მაცილის,
მაგრამ ვერას გზით ვეღარ
ვაცილებ.

2007

მწუხრის ბინდები

წუხილითა და შავითმოსილი,
ცით ჩამოსული მწუხრის
ბინდები,
ღრუბლებს წყალდაწყალ მიაქვთ
ყურემდე.
ზღვაც,
წამით უცებ გაირინდება,
– შორით მომავალ –
ქარიშხლის ხმას მიაყურადებს.

1988

“მცირე ლექსი”

“გრძელი ლექსი არ არსებობს”.
ედგარ ალან პო

ორფეოსის შთამომავალს,
ციდან არა,
ზღვიდან გესმის,
ვარსკვლავების აკვნის რწევა.
და ვით პოეტს ზე-გეწევა,
გრძელი ფრთები,
“მცირე ლექსის”.

1957

ზე-ცა

ყივილის თოკს ჩამოკრავენ ზარებს,
მამლები და მოვარვარე
სულად,
ამოსდით მზე, ვითა ცეცხლის ალი.
რომ დაგვცქერის –
მზის და მთვარის თვალით
მამა ღმერთი არის
თვითონ ზე-ცა!

1963

ანანურთან

აქ ხე იდგა, როგორც ლოცვა,
ახლა სადღაც გაპარულა.
მოსახვევთან –
ციცქნა ბორცვი,
ყვავილებით სავსე უბეს
გამოუჩენს მთას ფარულად.

1963

არიადნეს ძაფი

ღამღამობით მილიარდი მთიებით,
რომ ინთება,
ეს სამყარო ორგვარია –
ნათელი და ბნელი ლაბირინთებით...
სიყვარული –
არიადნეს ძაფის
გორგალია.

2017

სტუმრის მოლოდინი

უკვე მეორედ ყივის მამალი,
აწ გვიანია,
ასას* არ მოვა!
არა ჩანს ძოკო და არც გაგია!
მიწა –
ღვთისშვილთა სასაფლაოა,
ცა – ვარსკვლავების სარკოფაგია.

1966

---

* ასას (აფხზ.) – სტუმარი

ხილვა: თუბალები, მეშეხეები

ისართა დელგმა ზესკნელს აბნელებს
    და უჩნდება ზეცას ბზარები.
        ყველგან ცეცხლი და
            ომებია.
და სამყაროს რომ აზანზარებენ
    თობალ[1] – მეშეხთა[2]
        ტომებია.

1998

1, 2 – კოლხთა (ქართველთა) მონათესავე ტომები (ძვ.წ.ა. 16 ს.)

***

მირიად ვარსკვლავთა აწევს სიმძიმე,
მაინც მყარად დგას
სამყარო ძველი.

დღე,
ღამით იძინებს...
და წუთისოფელში
მოსვლა იოლია...
წასვლა კი ძნელი!

2017

გამოდარება

თუმც გვიან!
ოდნავ გამოიდარა.
და მე მეგონა დადგა ჩემი დრო!
(მაგრამ დღეებმა აღარ
დამინდეს!)
მაგრამ ჩემს დროში, ვითა ზღაპარში,
მაინც სხვისი იდგა ამინდი!!!

1993

***

ზოგი ხედავს სავსე მთვარეს
      და ზოგი კი მთვარის ყუას!
      (განა ყველა პოეტია!)
ზოგი ბრმაა,
            ზოგი ყრუა!
      და ზოგ "გენიოსსაც", ჩემო,
      შენთან ფეხი ვერ ჩაუვა!

1993

ალვის ხე

მთელი ზამთარი სიტყვა
ადარ წამოცდენია,
იდგა უბრალოდ და...
ღმერთო ჩემო!
გაგიკვირდებათ –
როდესაც "ხეში წყალი ჩადგა"
უეცრად ენა –
ამოიდგა და...
პირი გააღეს კვირტებმა.

1969

ხილვა: მითრიდატე პონტოელი (ევპატორი)

კოლხი იყო და კოლხობდა
        და ჯაბნიდა სულ,
                ორს ერთი.
მეუფობდა: "ზღუას გურგენის[1]",
        "ზღუას პონტოს[2]" და
                "ზღუას ორეთის[3]".

1962

---

1. კასპიის ზღვა.
2. შავი ზღვა.
3. ხმელთაშუა ზღვა.

თექვსმეტი წლის გორგასალი

“მგლისთავა” და მგლის მუხლება
        თექვსმეტი წლის გორგასალი –
        დიდ ბრძოლებში თავს
                იოსებს –
გაჩენის დღეს აწყევლინებს:
პაჭანიკებს,
        ჯიქებს,
            ოსებს.

1991

ძველი კოლხეთის ისტორია

ან-მარეს და აიეტის –
ძველ კოლხეთის ისტორია,
ვითარც ქრისტე ჯვარზე აცვეს!!!
მაგრამ, ვაჟა ეგრისელო,
ისე, როგორც ქორს
წიწილი,
დავიწყებას გამოსტაცე!

1993

***

გოლგოთაა ცხოვრება...
        და უძლებდი მზის ჭვილთებს,
        სული ტანჯვით აცხოვრე,
რადგან ცოდვა ადამის,
სულ,
        შენ ერთმა იტვირთე
და... "ესრე აღასრულე
            სჯული იგი მაცხოვრის".

1971

***

ისმის გადაძახილი,
            სადღაც გემებს ტვირთავენ...
            ზღვა კი ღელვას არ იშლის
და სავსეა პირთამდე –
                ქარითა და
                ქარიშხლით.

1960

სურვილი

კოლხეთს –
        მზითვად მოყოლილი,
        ლეგენდების ზღვას ერთვი...
დაცემა?!
        არც წაქცევა!
        შენ! –
            სურვილი გახრჩობს ერთი:
            – საქართველოს ცად ქცევის.

2017

ნაბუქო

მისი წარსული მსურს გავაბუქო,
    დღევანდელობა, რადგან არ ღირს,
        ჩრდილად ნაბუქოს.

1992

დაბრუნება სოფლად

ქალაქში წასულს...
დიდიხნის მერე,
მოგონებებმა ვეღარ გიშველეს!
როცა არ დაგხვდა ნერჩი და ფუძე!
კოღონაკბენი და
ფეხშიშველი –
შენში ბავშვობა ატირდა უცებ.

2001

საქართველო

ზღვისკარად მდგარი ჩემი მამული.
თამარ მეფის რომ ადგას
გვირგვინი
(რომლის სადარი ჯერ აქამდე)
არვის უხილავს,
დრო მოვა, მილეთს გადაიგრგვინებს –
დიდი რუსთველის სიყვარულის
ჭექა-ქუხილით.

1966

კერკეტი, ზიხი და მეოქი

კავკასიონის მთებიდან –
ხსოვნის ბილიკებით
შემოდის –
შოორეული და წარმართული,
სულ უცხო და
მაინც ქართული
სახელი: კერკეტი[1],
ზიხი[2] და მეოტი[3].

1963

1, 2, 3 – უძველეს დროიდან ჩრდილო – დასავლეთ კავკასიაში მოსახლე ადიღელთა წინაპარი ტომები.

***

მოხუცს ქოხში რომ ეძინა
ტკბილი ძილით,
შეიპარა ფეხაკრეფით და მუთაქა
მოაცალა,
დამაშვრალს რომ თავთან ედო.
და გაუყვა სოფლის შარას...
ეჰ! სიკვდილი ისევ ისე დათავხედობს!!!

1954

***

მხრებზე მოისხი ფრთები სიშორის,
ვარსკვლავებს იქით შეჰკარ
ირაო,
ვით განიმედის ლეგა არწივმა,
შენ ძალგიძს დამე
დააყირავო,
სანამ სამყარო დაგინაწილებს.

1959

***

პონტოს სანაპიროზე
ხმები ისმის გოდების:
კოლხეთს იკლებს პიროსი...
სავრომატი...
ჰუნები...
სკვითები და გოთები...

1991

უფლისა და სატანის

ცოდვილ დედამიწაზე,
საუკუნოდ სიცოცხლის,
ყოფნის შიშით ატანილს,
ცივი ხმები გესმოდა –
უფლისა და...
სატანის.

2017

ძველ-კოლხურად

(ვარიანტი)

სანამ ქართული ცა ნათელობს
        და ლამაზ სიცოცხლის
                კარს მოვხურავ,
მანამ მარცხენა მხარზე, საქართველოვ!
ვითარც ხატს, გეამბორები
                ძველ-კოლხურად!

2017

ფარსადანებს, შადიმანებს...

ათასწლეულების მერეც,
საქართველო პირს არიდებს –
ქართველების მოღალატე:
ფარსადანებს,
შადიმანებს,
პირსისხლიან –
ლიპარიტებს.

1991

ვითარცა ან-ქი ან სერაპისი

უღმერთობას და უსაზღვროებას,
ზესთა სამყარო კვლავ წუხს
ბებერი.
და სადღაც რწმენას ბღავის აპისი[1],
კოსმიურ სივრცის ხარ გამგებელი,
ვითარცა ან-ქი[2],
ან სერაპისი[3].

1967

---

1. აპისი (ბერძ.) – ძველ ეგვიპტეში ღვთაებრივი ხარი, რომელსაც თაყვანს სცემდნენ.
2. ან-ქი – კავშირი ცასა და მიწას შორის.
3. სერაპისი – კოსმიური სივრცის მცველი და მაკონტროლებელი.

ის

ის ერთადერთია...
                  და ღმერთი იფარავს
                  არა ჩანს მეორე!
                              მესამე!
და მისი ფიქრები ისე,
                  ვით ცხვრის ფარას,
                  უცხო პლანეტებსა და
სივრცეებს მწყემსავენ...

1958

***

წარიტაცა ზღვამ და უცებ,
მისი წილი ჩაქრა მთვარე,
და ეტირა გამჩენი!
დამტირებელს გლოვობ მკვდარი,
უპატრონოდ დარჩენილს.

1999

***

ფრთებს ისველებენ ნაპირთან
ციცქნა ტალღების
ბარტყები
და ქვიშით სავსე აქვთ პირი –
ცას ცისარტყელას ბაჯაღლო,
ქამარი წელზე არტყია
– უხარია და...
კვლავ ტირის...

1965

ხილვა: ბაგრატ მესამე

(978-1014 წწ.)

მტრებიცა და “მოყვრებიც” –
ყველგან სიკვდილს თესავენ
უმატებენ სატანჯველს.
მეფე ბაგრატ მესამეს
ვხედავ: ჰერეთს და
კახეთს,
სამცხეს,
შავშეთს და
და კლარჯეთს.

1966

ღალატის ყაყაჩოები

ზვიად გამსახურდიას

სადღაც ხმა ისმის –
ხან ხშირ-ხშირად,
ხან დახანებით,
გაცოცხლებულან ქართველთ მოდგმის
მაჰმად-ხანები!
მოდიან დაფა-ზურნითა და
დოლ-ნაღარათი!!!
ვაჰმე!
კრწანისის ველზე (ვითა ჟამს
არაგველთა),
ისევ ყვავიან ყაყაჩოები –
მეფისა და ქვეყნის ღალატის.

1991-1992

კერკეტები და კირკიტები

კოლხეთისკენ ვეწევი –
        მარებსა[1] და მაკრონებს[2],
        ეგრებს[3]-მეგრებს[4],
მოსხ[5]-მუსხებს[6],
        (მაგრამ ვედარ-მოვნუსხე)
        და მაინც ვუკირკიტებ –
ჩემს შოორეულ ნათესავთ:
            თობალებს[7] და თუბალებს[8],
  კერკეტებს[9] და კირკიტებს[10].

1963

_____

1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10 – კოლხთა, (ქართველთა) მონათესავე ტომები.

ზღვა და პოეტი

შენ კლდე ხარ!
        მაგრამ იგი ზღვა არის,
        რომელიც მშობელ
                მიწას დარაჯობს,
შუბლზე წაკრული ნისლის ნახევით...
კაცმა კი არა!..
                სადაც არა სჯობს,
                ზღვამაც იცის უკან დახევა!

1980

სიკვდილ-სიცოცხლე

ათასწლეულებს ჭიქა-წყალივით,
ადამის მოდგმის ხსოვნა
შეუსვამს
– არ ჩანს მაია და არც ინკები.
სიკვდილს
სიცოცხლე მხრებზე
შეუსვამს
– სასაფლაოსკენ მიიდრიკება...

1965

ხმა

ხმა დაგვდევს მარადის,
ვით ედიტ პიაფის –
გულის დამთაფლავი,
რომელიც არიგებს იაფად –
სიკვდილს და
საფლავებს.

1979

ზამთრის მთვარე

იმეორებ სხვათა ნათქვამს
        და მთვარეზე ივლი დარდით:
        რომ ის მოჰგავს ცის თონეში –
ცხელ შოთის პურს ყუა მიმწვარს,
რომელს, წელი მილიარდი,
        შესციცინებს დედამიწა.

1956

გათენება

გადახრუკულ ცის მინდორზე
ყრია ვარსკვლავების ნამწვი,
ჯერ არ ისმის ხმა
საარის.
მეჩეთამდე ვეღარ აღწევს
ნიმბი ნახევარი მთვარის.

1969

ეგრისის სამეფო

ეჰა,

ვაჟა ეგრისელო!

ათასეულ წლის იქიდან

გადმოსული ეგ ნისლი –

გეფარება...

და ვერ აგნებ,

დიდ “სამეფოს ეგრისის”.

1961

მთათა მწვერვალები

მეხთა-ტეხით და ქუხილით,
როცა გადურბენს მთას ექო,
ზღვა შფოთავს და
მღელვარებს...
ცა მიწას რომ არ დაემხოს,
უჭირავთ მთათა მწვერვალებს.

1964

კამელოს*

“მდიდარი ისე ვერ მოხვდება სასუფეველში,
როგორც ნემსის ყუნწში ვერ გაეტევა აქლემი”.
სახარება.

მავანთაგან ბევრჯერ ითქვა,
რომ ღაღადებ უფლის ბაგით,
რადგან, ჩემო, მართალ
სიტყვას,
ნემსის ყუნწში (არა აქლემს!)
აძვრენ ბაგირს.

1989

* არა “კამელოსი” (აქლემი), უნდა იყო “კამილოს” (ბაგირი).

***

უძირო და უსამანო –
    კაცთა მოდგმა შორს იურვის
    და ხალხები ცას ეტრფიან, –
მნათთა ოქროს გირჩებიანს...
            მაგრამ მაინც მიწა უყვართ
                მშობლიური,
მიდიან და...
        სამუდამოდ იქ რჩებიან.

1964

სვეტიცხოველი

ეს სამოთხე და ედემი,
ჩვენ მოგვცეს
ჩვენმა ღმერთებმა,
ქრისტეს ნათელის მთოველი –
სვეტად დგას
სვეტიცხოველი,
სად ცა და მიწა ერთდება!

1958

***

“შავლეგო” და “მეფე დავით!”
შენი აპოთეოზია*,
და ისე, ვით “ქრისტეს მხედარს
კოლხეთიდან”,
შენ ჰგავს შენი –
პოეზია.

1989

* აპოთეოზაი (ბერძ.) – გაღმერთება.

***

დასავლეთით მიმავალი,
ჭლექიანი და
სნეული,
ბნელი ღამის ამტვრევს კარებს,
გამხდარი და
მილეული,
ნემსის ყუნწში ძვრება მთვარე.

1954

იამბი და იამბიკო

ქართული ხომ შენი იყო,
მაგრამ უცხო აღარ იყო
შენთვის "ტანკა"[1],
"რუბაია[2]",
"იამბი[3]"
და "იამბიკო[4]".

1959

---

1. "ტანკა" (იაპ.) – იაპონური პოეზიის ერთერთი ძველი ჟანრი.
2. "რუბაია" (არაბ-სპარს.) – ლექსთწყობა.
3. "იამბი" (ბერძ.) – ანტიკურ ლექსთწყობაში ორმარცვლიანი მუხლი, რომლის პირველი მარცვალი მოკლეა, მეორე – გრძელი.
4. "იამბიკო" (ბერძ.) – რომელიც იამბისგან შედგება. (ძველ ქართულ სასულიერო პოეზიაში ხუთმუხლიანი და თორმეტმარცვლიანი ურითმო ლექსი).

დრო და სივრცე

შორს სადღაც,
მიღმა ათასწლეულთა,
ტკბილი ჰანგები ისმის არფების,
და, ვით ჭაბუკის –
თავფარავნელის,
შენი მხსნელი და შენი მფარველი
დრო და სივრცეა,
სხვა არაფერი.

2017

ვარსკვლავნი –კალმახის ქერცლია

ქუხილზე მთებს ფერი შეცვლია,
რომ ყრიან ნუყარ-ნაყარი.
ვარსკვლავნი –
კალმახის ქერცლია
(მწუხრისას, ვით მებადურმა),
ქრისტემ რომ ცას შეაყარა.

1978

ხეთებსა და ჰალიძონებს

ჩაილურის წყალსა დალევს,
ვინც ყოველდღე არ იბრძოლებს.
ასე სწამდათ მიდიელებს,
ხეთებსა და ჰალიძონებს.
ასურებს კი ეგრთა ქვეყნის,
აღარ ასვენებდა დარდი.
თუმცა ურარტუელები,
თაყვანს სცემდნენ ქალდეველთა
ღმერთთა და ღმერთს და
უფალ ხალდის.

1968

ვარსკვლავების სიცილი

ლურჯს და უსამანო სივრცეს
რომ ჰკიდია ერთი ციდა
მთვარე,
მას ვერ იცილებს,
და დილამდე ისმის ციდან –
ვარსკვლავების სიცილი...

1954

მარსს და იუპიტერს

მზე გიპყრია პირფერი,
ვით სინათლის ყვავილი;
და შენც, როგორ ნიბირუ*,
მიღმა ათასწლეულის,
მარსს და იუპიტერის
(ვით სცილას
და ქარიბდას)
შუა ამაყად ჩაივლი.

2017

---

* ნიბირუ – პლანეტა

გოთები და ჰუნები
(III-IV ს.ს.)

ცეცხლითა და მახვილით
            რბიან საუკუნენი...
            ისმის გადაძახილი –
გოთების და ჰუნების:
– იქით გოდებს კილიკია
            და აქეთ კი გალატია,
            ეს ცხოვრება ქილიკია,
ცრემლი...
            ოხვრა...
                ღალატია...

1991

ეგრისელო, ეგრის ძევ

მუჭაში როგორ მოიქციე
წუთისოფლის სიმოკლე და
თვალუწვდენი ეგ სიგრძე!
ზღვის ღელვისგან გაჩენილო,
ეგრისელო!
ეგრის ძევ!

2017

ჭინჭილა

აზარფეშებით მხვდება ხობი
                და ნოჯიხევი,
ჯახანის ხმები ისმის ჯიხვების.
და ქალწულივით თავს იწონებს
                სველი ჭინჭილა –
თითქოს თამადას ეუბნება:
        – ჩემო თვალი შენსკენ მიჭირავს,
        შენა ხარ ჩემი მზე და მთვარე
                და ოტარიდი...
მაგრამ თამადას ახსენდება
            ის გულბაათი,
რომელსაც თავზე ჩამოამხო მან
                ცის გუმბათი!!!
და... ჭინჭილას თვალებს არიდებს.

1971

ზამთრის ქარი

დარახტული დიდი მთების
        შიში...
            და არც რიდი აქვს,
        დაძრწის ქარი მაწანწალა.
და მცხეთასთან კოცნის არაგვს,
        დედა მტკვართან ნაწაწალარს.

1963

ხილვა: ყუთლუ არსლანი, აფრიდონი, ყუბასარი

აი,
ახლაც რამდენია,
საქართველოს მომავალს რომ
გულს მახვილით უბასრავს!!!
ვჭვრეტ, ისე, ვით თამარის დროს,
მეფის კარზე აღზევებულ:
ყუთლუ არსლანს[1],
აფრიდონს[2] და
ყუბასარს[3].

1992

---

1 – ყუთლუ არსლანი – ამირსპასალარი

2 – აფრიდონი – მსახურთუხუცესი

3 – ყუბასარი – მეჭურჭლეთუხუცესი

ნასკვით-ნაყივჩაღარი

“არ გამაგონოთ დაფა-ზურნის
ჰანგი ველური,
ჩემს თბილისში ვარ! – გამაგონეთ
ტკბილ-ქართველური”.

ალიო მაშაშვილი

აგონებდათ გოლგოთას –
ხმა ბუკის და
ნაღარის.
და სამშობლოს ორგულებს
ხალხში თავი მოჰქონდათ
ნასკვით –
ნაყივჩაღარით.

2008

ხილვა: ანდრია და მატათა

პონტოს სანაპიროზე
ჭყონდიდს* ბავშვებს სწირავენ!!!
თუმც წარმართთა მისტიკა
დიდი ხნის წინ გათავდა.
მაინც ელით სიკვდილი –
ანდრიას და მატათას.

1968

---

* ჭყონდიდი (მეგრ) დიდი მუხა

***

მარიამ ღვთისმშობელი ტიროდა,
ბარაბას დედა რომ მღეროდა!
რა დალევს ამქვეყნად
ნერონს და ჰეროდეს,
იყო დრო, ქრისტეს არ სჯეროდათ,
რა მოხდა, პოეტო,
შენი არ სჯეროდეთ!

2017

***

მზე აენთო შუქნიშნად:
პლუტონს გვერდს
ვერ აუვლი!
რადგანაც იქ ნიადაგ –
მზის კი არა,
სინათლის,
არის დღესასწაული...
ეჰჰეიიი...
აუუიი!!!

1956

ვაჟას ძეგლი ჩარბალში

ჩარგლულასთან უთენია
    დილას სტვენს და...
        უხმობს ვაჟას,
ციცქნა ჩიტი თავშაველა...
    მთაწმინდამდე ხმას ვერ აწვდენს,
    აქ კი ძეგლი ჩანს
        ფშაველას.

1999

ეჰეჰეჰეიი

ამაქვეყნიურ –
ცივ უდაბნოში,
ყველგან სიკვდილის
არის თარეში,
რომ დაგვიფაროს, არვინ ჩანს
მხსნელი!
ეჰეჰეჰეიი!...

2018

ადამი

გააჭადარა სიკვდილის შიშმა
და ცხოვრების დინებამ ნელმა.
ევას ნეკნიდან ხელახლა იშვა
და დააბრმავა სიყვარულის
მახვილის ელვამ.

1958

***

ერკინები მილეთს მედგრად,
ჩემო დარჩელო და
ლარჩვავ!
მთები,
ზღვები,
ვარსკვლავები,
შენ რომ სული არ ჩაგედგა,
ჩემო,
ქვეყნად რამე დარჩა?!

1967

ხილვა: სანები და ძიდრიტები

შავი ზღვა კი შავებს იცვამს,
ტალღები კი კვლავ ანცობენ...
კოლხთა მოდგმა იწრიტება!
მაინც ისმის ხმა ნაცნობი –
სანების და
ძიდრიტების.

1967

ბეთჰოვენს,
მოცარტს და
ჩაიდნის

მიმწუხრი შენს მაღალ –
კოლხურ ცას,
აჭედდა ვარსკვლავთა ლურსმნებით,
იქ,
სადაც შენ ფეხი აიდგი.
სწორედ იქ, თითების წვერებზე
შემდგარი ალვები უსმენდნენ –
ბეთჰოვენს,
მოცარტს და
ჩაიდნის.

1957

მზის, მთვარის და...
ხუთ პლანეტის

თავის წილი შეჰქმნა ცა და
ვარსკვლავები,
რა ქნას,
ადარ ძალუძს მეტი!
და წარსულში ვიღაც გოდებს –
რადგანაც ის ვერ ქმნის მოდელს
მზის, მთვარის და...
სხვა დანარჩენ ხუთ პლანეტის.

1962

ჩანჩქერი

გუშინწინ რომ კისრისტეხით
კლდეებს შუა რომ ჩარბოდა
ჩანჩქერი,
გაყინულა...
და სიცოცხლეს ამთავრებს!!!
მოქათქათე ფრთების ქნევით
მთით ჩამოდის ზამთარი.

1954

ჩე გოლას და მინგარიოს

“მერეთმოსვლა”[1] კაცთა მოდგმას
ადარ ახსოვს იმგვარიო,
და ზისუდრას[2] კიდობანი
ნახა კოლხმა, ვით მიადგა –
ჩხოროწყუს და
მარტვილის მთებს:
ჩე გოლას[3] და მინგარიოს.[4]

1960

---

1 – მერეთმოსვლა (მეგრ.) – წარღვნა

2 – ზისუდრა – ბიბლიური ნოე

3 – ჩე გოლა (მეგრ.) – თეთრი მთა

4 – მინგარიო (მეგრ.) – მიტირეო!!!

ნუტი

ვითა დედა მშობლიური
ყველგან არის და
სამყაროს
რომ არ ტოვებს ერთი წუთით,
ელვა არა,
მე მგონია,
ზეცის ქალღმერთი ნუტი.

2009

სანებს,

ზანებს,

სუბარებს

ასი ათასწლეულის
მიღმიდან ხმა კოლხური
მოდის ნაწყვეტ-ნაწყვეტად
და ცისქვეშეთს უბარებს:
რომ სცენ პირველთ
თაყვანი –
მარებსა[1] და მაკრონებს[2],
სანებს[3],
ზანებს[4],
სუბარებს[5].

1964

1,2,3,4,5 – პონტოს პირას მოსახლე ქართველური ტომები

ვაი და უი

დასაბამიდან სამყაროს რომ
ჟრუანტლად უვლის:
სიცოცხლე – ვაია!
სიკვდილი – უი!

1989

მთვარეა ჩემი საფლავის ბორცვი

ზღვისკარად შეყრა დღისა და ღამის,
    გაყრაა ჩემი სულის და ხორცის.
    ცა – დედაჩემი
        ელვით პირს იხოკს
და ვარსკვლავები – ჩემი და-ძმები
განთიადამდე რომ დასტირიან:
    მთვარეა –
        ჩემი სამარის ბორცვი.

1960

N-ს

რადგან ვაჟა ვაჟაობს,
შენ, “მგოსანო”, ნუ ითმენ!
რადგან მისი ხსენება
საფლავშიაც აურეულებს:\
აქ – დიდ გალაკტიონს და
იქ – თაგორს და უიტმენს.

1995

თოლიები ზღვაზე

ზღვაში დამხრჩვალთა სულებს –
        რა ვუყოთ ამ თოლიებს,
        როს შვილმკვდარი დედები,
მეგრულ მოთქმა-კივილში
            ისევ აიყოლიეს!

1963

***

ზამთარია და შიშველ-ტიტველი,
ხალხო,
გთხოვთ, აღარ გაუშვათ
გარეთ!
მიხედვა უნდა ტერენტი გრანელს,
ვით ფედერიკო გარსია
ლორკას,
რომელსაც ჟამმა ესროლა ტყვია!!!
ეგონა...
მაგრამ ვეღარა მოკლა!

1961

ჭრიჭინობელა

პოეზია კი მთვარის ბორცვზე
                  მდგარი მუხაა
და ნოველების* გიჭირს მობელვა,
ჭრი...
        ჭრი წვრილ ტოტებს
        და არ ისვენებ...
ჭრიჭინებ, ვითა ჭრიჭინობელა...

2018

* ნოველა (მეგრ) – ტოტი

თოთი

წარღვნიდან თუ თქმულებიდან,
ბევრი ათასწლეულია
აღარ ილევა და მოდის,
შავი არა, თეთრზე თეთრი,
სიბრძნის წყარო,
სიბრძნის ღმერთის,
ბიბლიური ნოეს –
თოთის.

1958

ასტომეული

აიეტის ასულის
ნაპოვნ ბალახ-ბულახით
განმკურნავი სნეულის,
ეგრისელის “ფსალმუნთა”
სუფევს ასტომეული.

2016

***

რაც სიზმარშიც არ გებადა,
მასზე წერდი შუქზე ელვის.
რაც არ გქონდა –
"მუ ოდინე!"*
და... სიყვარულს მაინც ელი
შენ!
არაფრის მომლოდინე.

2007

---

* "მუ ოდინე" (მეგრ) – რა დაკარგე

რიონი რაჭაში

(ვარიანტი)

ამირანტის თუ “ძევსის” მთებიდან –
ათასწლეულებს ჩამოაჭენებს...
მოანგრევს დღეებს და...
გულს იოხებს!
გზა-გზა აღვიძებს კოლხებს,
დიოხებს –
მითებში მძინარ –
ძირძველ რაჭველებს.

1957

ორი შეცდომა

უფალი მაშინ შეცდა პირველად,
როს გაგაჩინა და
ცხვრის ფარა მოგცა
სამწყემსად,
ხოლო მეორედ –
ამ წუთისოფლად
სიტყვისმსახურად რომ გაგამწესა.

2017

რწმენის ცა

მივლეწ-მოვლეწო რწმენის ცა
და ვარსკვლავებიც ავყარო!
(ადრე, ვითარცა წარმართმა,
ახლა უფლის ძის მართულმა).
ვით ბრძანებს ბრძენი ზოსიმე,
ალბათ სულ მალე სამყარო –
ილაპარაკებს ქართულად!

1959

ობობა

მამლებმა ცეცხლის ყივილით –
        დააშრეს ღამის სათავე,
        და დილაც უცებ ადიდდა.
ვჭვრეტ: ფანჯარასთან ობობა,
თავის მსხვერპლს,
            ვით უთვალთვალებს,
        წუხელის ვერცხლის
                ძაფებით
მოქსოვილ ოქროს ბადიდან.

1956

ასომთავრული

მოკამკამე ნათლით სავსე
ვარსკვლავები ჩანს
ჭებივით,
მწვერვალები ცისკენ ლტოლვით –
დღე და ღამეს ასწორებენ,
ყელხატულა სიტყვები კი
პოეტებს თავს აწონებენ –
ვენეციელ ვაჭრებივით.

2017

რემა

ურიცხვია შენი რემა
        და რემადან ქარცა კვიცებს,
        სხვათა ათასებში ნარჩევს
ისე ვერ გაიტაცებენ,
            ნაკვალევი რომ არ დარჩეს.

2018

რეზვანი

ცას კისერზე ჰკიდია
ვარსკვლავების ეჟვანი
და რეკს ნათელს ოქროსფერს –
შენ მშობლიურ მიწიდან,
დრო ვერასდროს ამოგთხრის,
რადგან გწყალობს რეზვანი –
ანგელოზი სამოთხის.

2016

მთვარე,
ელვა,
ქარი

ვითა ძვალი, თეთრი მთვარე
ცას ყელში აქვს გახირული...
და იცოდნენ ეს ხეთებმა:
წამით, მაგრამ,
რომ ელვა თვალგახილული,
ქარი ბრმაა და ყველაფერს
ეხეთქება!!!

1959

***

შენ მეუფობ ცას და ხმელეთს,
      მაგრამ მთვარისხელა გულზე,
      მზე გაჩნია,
                ვით იარა.
ეს გაწუხებს...
                და გავეშებს,
რომ ჯეროვნად ვერ პატრონობ,
      მარტო საქართველო არა,
მთელ სამყაროს მიწის ქვეშეთს.

2018

***

შემოელიათ ხმები თოლიებს,
მწუხრის ნისლი კი
აფრებს ებურვის.
ზღვა დუმს...
თუმც გულში ღელვას
არ იშლის
და აბრაგივით ჩასაფრებული
სანაპიროზე ელოდება –
მოსვლას ქარიშხლის.

1967

***

უკეთესს ტაძარს სადღა ჰპოვებენ,
რწმენის ზეცას კი მხრებით
იჭერენ!
თუმც, რომ შეეძლოთ ზოგ-ზოგ
პოეტებს,
თვით მზეს და მთვარეს ჩამოხსნიდნენ
და,
ჩამოკიდებდნენ საკუთარი ეზოს
ცის ჭერზე.

2017

შენი ლექსები

ყალყზე დგებიან –
            უნდათ აშვება!
    ფაფარაშლილი შენი ლექსები,
    დაჭიხვინებენ, როგორც რაშები.
    ქართული სიტყვის ისმის
                  თქარუნი,
მაგრამ შენ მაინც ღმერთმა დაგსაჯა,
            სიძუნწისათვის,
                  როგორც ყარუნი.*

2018

---

* ყარუნი (არაბ) – ძუნწი

ცხვრის ჟურდი

წვიმას აპირებს...
                  და ვარსკვლავები,
    ეფარებიან მთვარის ლაფაროს.
ზღვა ზვირთთა რემას დააჭენებს და...
        სურს რამდენიმე,
        გორაკს იქით გადააპაროს.

1954

მამა, ძე და სულიწმინდა

ულმერთობას ცა როდესაც
სულ რომ თოვდა,
სულ რომ წვიმდა...
არსად ჭაჭანებდა ბრაჰმა*,
(ახლა გვიჭირს ამის აღქმა),
მაშინ რწმენას ზეიმობდა:
მამა,
ძე და სულიწმინდა.

1959

---

* ბრაჰმა (სანსკრ) – ინდუიზმის სამების უმაღლესი ღვთაება

არაფერია ფარული

შენ გადასცურე სამყარო,
“ბრასით” კი არა,
“მხარულით”
(არც სიზმარია, არც ცხადი).
და ბოლოს
“რომ არ გაცხადდეს,
არაფერია ფარული”.

2001

შუმერებს და აქადებს

ჰაუუ!
        რა დრო გასულა...
        მეოცედან ვეძახი –
        შუმერებს და აქადებს:
– თქვენც გზა გასასვლელი
                    გაქვთ –
ასი ათასწლეულის
            ქალდეადან –
                    აქამდე!

1959

კოლხთა დიდი წარსული

საიდანღაც ხმა მესმის
აიეტის ასულის:
(არც სახე ჩანს,
არც ტანი!)
– კოლხთა დიდი წარსულის
ისტორია, ვით დროშა,
სცილასა და ქარიბდას
შუა,
შენ გამოატარე!

2018

ობობა

ტრიალ მინდორზე მდგარი
მუხის –
გაბარჯღულ ტოტზე
დაკიდული ობობა,
ვით თვით მუხა ბებერი
ტირის თავის ობლობას.

2001

ან მარეს და აიეტის

ამაქვეყნად რაც მოხვედი,
        სხვა სული და
                სხვა იმედი.
და რაც "სხვებმა" გაიმეტეს –
ის კოლხეთი,
                მზის კოლხეთი –
საქართველოს დაუბრუნე,
        ან მარეს[1] და
                აიეტის[2].

1982

---

1 – ან მარე – "ცის კაცი", კოლხეთ-ქიმეთის (ეგვიპტე) მეფე (5185-5120)

2 – აიეტი – კოლხეთის მითიური მეფე, მედეას მამა (XIV-XIIს)

სული

სული მაინც სპეტაკია,
ბედი ცდიდა
თუ არ ცდიდა.
ის ცისაა ბინადარი.
დიდია თუ ერთი ციდა,
სული მაინც სული არის,
მუდამ იყურება ციდან.

1972

ზღვის ქარი

ქვესკნელიდან ამოსული,
            რომ გუგუნებს –
                ზღვის ქარია...
და ღელვაა – ჩემი ჰობი,
            მაგრამ ის არ მიხარია,
            რომ გამზრდელი
                გაზრდილს სჯობნის.

2018

აფხაზებს და ოდიშარებს

აშემ[1], შაშემ[2] და ინალიმ[3],
წაუკიდეს ცეცხლის ალი
რწმენას...
და ღვთის მოშიშარებს.
(ვერ აღუდგნენ წინ წარმართებს!)
და კინაღამ ზღვაც წაართვეს –
აფხაზებს და
ოდიშარებს.

1964

1,2,3 – ადიღ-აბასთა სარდლები(XVI ს)

ქრისტე

ნეტავი საით მიდიან ის წლები,
საუკუნეები –
საუკუნეებს რომ მისდევს?!
და ქვეყნად არაფერი იცვლება!
რადგანაც ჯვარზე გაკრული
სამყარო –
არის იესო ქრისტე.

1971

მინოტავრი*

მიმწუხრისას, როს ფიქრები
კოლხურ მითებს და
ლეგენდებს,
ვითა ბერძნულს, შეუვლიან
(ხუთიათასწლეულია).
ღვინის ღმერთი დიონისე,
თასს რომ მაწვდის სავსეს ისევ.
და... კრეტადან დღე-ნიადაგ
მინოტავრის ბღავილს ვისმენ.

1963

---

* მინოტავრი – კრეტის მეფის, მინოსის ხარი (ურჩხული), რომელიც ლაბირინთში ჰყავდა დაბმული და კვებავდა ჭაბუკებითა და ქალიშვილებით, რომელთაც ათენელები უგზავნიდნენ ხარკად

***

შენი ლექსების მთები და
                    შენი ლექსების ქედები –
                    ცისკენ ილტვიან სიმაღლედ
და ვით სითბო და
                    სილაღე –
უცხო სივრცეებს ედება...

1995

შური

“შური – მწუხარება სხვისა სიკეთესა ზედა”
საბა

შორეთიდან მომავალი
ისმის დღეთა შარი-შური,
რომელთ მოაქვთ ნობათივით
ცის სარტყელში გახვეული:
გლოვა...
ცრემლი...
შავი შური.

1991

ფიქრი

სულიერს რომ
                  სადაც ფეხი
არ დაუდგამს, სწორედ იქ ქრის,
          დარდმოსხმული შენი ფიქრი
          და ატლანტის ხსოვნის ფსკერზე
დაღუპული წინაპრების
                  სულებს ეძებს.

1964

ვარსკვლავების ნაჭუჭები

კოსმიური წვიმით სველი,
სავსე მთვარის დგას
ჭურჭელი.
ჩუმად ჩეკავს ნათელს ბნელი
და ცის ოგვაჯეში* ყრია
ვარსკვლავების ნაჭუჭები.

1954

* ოგვაჯე (მეგრ) – საბუდარი

სანამ სიკვდილი გვეამბორება

ვითარცა ხუთიათასწლეულის
    წინათ,
        ხელმწიფეს კოლხეთ-ქიმეთის,
ცის კაცს ან მარეს.
ისე შენც, შენმა მთებმა,
            გორებმა,
თავიანთ გულში გაგითხარონ
        უნდა სამარე,
სანამ სიკვდილი გეამბორება.

2018

1941

სულ რვანი იყვნენ და-ძმანი
და შეემატათ მეცხრეცა,
რომელიც ახლა
ხელს უწვდის,
მერვეს კი არა,
მეცხრე ცას.

1999

ისევ ლოდინი

რომ გელიან დღე-ნიადაგ,
ცის ვარსკვლავებს უწვდი ხელებს,
ავლებ ელვის ოქროს ღობეს.
არამარტო საქართველოს –
ცას და ხმელეთს,
მის ქვეშეთსაც სიყვარულით
უგალობე!

2017

ხილვა: კონსტანტინე

ფიქრში უეცრად იელვებს
ერთიც...
ბრმა შვილი –
უძღები!!!
კახეთის ასაოხრებლად
შაჰის ჯარს,
ვით მოუძღვება!!

1993

ძახილი

გადახედეთ იავქმნილ ქართლს
                  და კახეთს,
ფშავ-ხევსურეთს,
          რაჭა-ლეჩხუმს და
                  აფხაზეთს,
რაც მოყვას სწყინს,
          მტერს ახარებს:
– რომ სირცხვილი ყაყაჩოსფრად,
როგორ უვლის ამდენ
          ნაციხ-ნასახლარებს.

1996

ორნი

უსახელო კი,
    უსახელოდ გაუყვა შარას,
    სახელისათვის ვინც იბრძოდა,
        წავიდა ისიც!!!
ახლა ორივეს თანაბრად ფარავს –
        დავიწყების ღამე და
            ნისლი.

1971

***

“ამა ენაზე” – ქართულზე,
ერთი ზნე,
ერთი ფიქრი სჭირთ,
ციური ლოცვით მოსილებს:
კოლხ პოეტ ვაჟა ეგრისელს,
ბერ იოანე ზოსიმეს...

1959

***

ჰა,
  კოლხეთი –
            საბუდარი ლეგენდების და
                                  მითების
და ღამეს ცა დაუხურავს –
            მზის ქურაში გამომწვარი
            ვარსკვლავების კრამიტებით.

1959

პანთეონი

მანდილოსნებს საყურეს
ყურთან ერთად აჭრიდა!!!
ახლა აქ განისვენებს
შემოსილი ჭაღარით.
ქურდ-ბაცაცა...
ყაჩაღი...
ძველი ნაყივჩაღარი.

2010

ძვირფასი საჩუქარი

გამჩენმა სიცოცხლე გაჩუქა,
გიუმაჟი,
მაგრამ სულ კეთილი.
და შენ კი, ო, როგორ ირჯები!
ძვირფასო,
ნაჩუქარ ცხენს კბილი,
იცი, რომ არ გაესინჯება.

2015

ვით ნიბური ან ვით ური

ეჰეი! –
ვაჟა ეგრისელო!
ცის და მიწის ხარ მეუფე,
სად შენა და ან სად შური!
ეს ისეთი შორსა არის,
ვით ნიბური[1],
ან ვით ური[2].

2017

1,2 – ქართველთა შოორეულ წინაპართა – შუმერთა უძველესი ქალაქები

მზის ბეჭედი

მინაწერი “კოლხური ფსალმუნების”
ოცდაათტომეულზე

ისე, ვითა დავითისას,
შენს “ფსალმუნებს”
მზის ბეჭედი შუბლზე აზის –
ამერიკის და ევროპის
და აზიის.

2017

ისევ ქალდეა

უფლის სიტყვა – “ქალდეაში”,
    რაც ზღაპრული “არსი არი”,
    რომ იცოდნენ,
        დედამიწას კი არადა,
თვით კოსმოსში ჟრუანტელად
დაუვლიდა “მარსიანებს”.

2009

ხილვა: მუჰამედ წინასწარმეტყველი

ბაიათი თავს იკლავს და...
მერე სხვებმაც აიშვეს:
მედინაში ჯვარს იწერენ
მუჰამედ წინასწარმეტყველი
და მეორე ცოლი მისი –
აიშე.

1960

* * *

შემოდგომის მიწურულს
                  და ჟამს მთვარის ავსების,
                  ეგრისელის “ასი ტომის”
ხილვა დაემსგავსება –
                  სკდომას ბომბის ატომის.

2017

სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ 5
*** კუდიანი ვარსკვლავები 25
მიწისძვრა 26
სიცოცხლე და სიკვდილი 27
შური 28
მაისის 15 29
ეს მე ვარ, ვინც ვარ! 30
კოლხეთი – სამყაროს საშო 31
*** ასი ათასწლეულის იქით 32
*** მეცხრე ციდან ჩამოსული 33
ხმა 34
*** დღე არის თუ ბინდია 35
თეთრი არაგვი 36
*** საქართველოს მთებს სიმაღლე 37
სინდის ციხე 38
ოჯალეში 39
*** როდესაც შენი სიცოცხლე 40
ქანაანი 41
თალმუსი 42
*** ვით პაოლო 43

ცეცხლოვანი ყვავილი 44
აია კოლხეთი 45
ელისეის მინდვრები 46
მამალი ნაკვერცხლები 47
პირამიდები და ზიქურათები 48
*** მოვდივართ... 49
*** შოორს 50
*** ხობისწყლის ნაპირთან 51
კვაზებსა და კვაზარებს 52
პირაქეთ და პირიქით 53
სოკო 54
*** საიდანღაც ხმა 55
ძველ კოლხურად 56
ცოცხალ-მკვდარი 57
დეკემბერი ზღვაზე 58
სამეგრელოს მერამდენე 59
“მეფეთა ველი” 60
*** ტანშიშველ ელვას 61
*** ო, როგორ უხდება ქალწულ 62
*** ქვეყნად ვეღარ დატეულო 63
*** ჩამავალი მზის ნაფეხურები 64
სიკვდილ-სიცოცხლე 65
უფლის სახლი 66

ქა-დინგირა 67
ზურმუხტის დაფები 68
სადღეგრძელო და ლოცვა 69
ასტრალური გზა 70
ისევ კოლხეთი 71
მთვარე – მურმანი 72
შავი ზღვა 73
მთაში 74
“აიები” 75
მზე 76
*** ნარიყალას ძველ სანახებს 77
ცა და დედამიწა 78
*** აღარ იყო ჯერ კოლხეთი 79
*** მილიონი კი არა... 80
ორი ვარსკვლავი 81
ხილვა: კოლხი და ხეთი 82
*** როდესაც მიწყდა ქარის 83
ცეცხლი-უფლის სიტყვა 84
მარტყოფში 85
წიგნი – “იქმენ ნათელი!” 86
პეგასი 87
*** დუმს პონტო, დიდ წინაპართა 88
*** მთვარის ნაკვალევს ვინ 89

მეტეხთან 90
აფსუ და თიამათი 91
მთები 92
იტალიური გამოფენა 93
“კოლხური ფსალმუნები” 94
აიეტიდები 95
ისევ ბაბილონი 96
ფიცი 97
*** ზღვა აბრაგია 98
ენკენის თვე, სურწყუნისი 99
კავკასიონის მთები 100
ნამცვრევი და არაბესკი 101
თუკი 102
*** მეხის ძახილზე მოვა 103
ტრაქტატებს და დღიურებს 104
შაშვის ჭახჭახი 105
წარღვნა 106
*** დაზვინულა მთიებით 107
*** ფეხისხმა რომ ესმა 108
ლეჩხუმი 109
მიწა, ცა 110
იავაში 111
*** ჰელიოსის ნაშიერი 112

პირამიდები 113
*** სადღაც მეჩეთთან 114
*** სალი კლდიდან ჩამონათალს 115
*** ვითარცა კრწანისს 116
მწუხრის ბინდები 117
“მცირე ლექსი” 118
ზე-ცა 119
ანანურთან 120
არიადნეს ძაფი 121
სტუმრის მოლოდინი 122
ხილვა: თუბალები, მეშეხეები 123
*** მირიად ვარსკვლავთა 124
გამოდარება 125
*** ზოგი ხედავს სავსე 126
ალვის ხე 127
ხილვა: მითრიდატე 128
თექვსმეტი წლის 129
ძველი კოლხეთის ისტორია 130
*** გოლგოთა ცხოვრება 131
*** ისმის გადაძახილი 132
სურვილი 133
ნაბუქო 134
დაბრუნება სოფლად 135

საქართველო 136
კერკეტი, ზიხი და მეოქი 137
*** მოხუცს ქოხში რომ ეძინა 138
*** მხრებზე მოისხი ფრთები 139
*** პონტოს სანაპიროზე 140
უფლისა და სატანის 141
ძველ-კოლხურად 142
ფარსადანებს, შადიმანებს 143
ვითარცა ან-ქი ან სერაპისი 144
ის 145
*** წარიტაცა ზღვამ და 146
*** ფრთებს ისველებენ 147
ხილვა: ბაგრატ მესამე 148
ღალატის ყაყაჩოები ზვიად 149
კერკეტები და კირკიტები 150
ზღვა და პოეტი 151
სიკვდილ-სიცოცხლე 152
ხმა 153
ზამთრის მთვარე 154
გათენება 155
ეგრისის სამეფო 156
მთათა მწვერვალები 157
კამელოს* 158

*** უძირო და უსამანო 159
სვეტიცხოველი 160
*** "შავლეგო" და "მეფე 161
*** დასავლეთით მიმავალი 162
იამბი და იამბიკო 163
დრო და სივრცე 164
ვარსკვლავნი – კალმახის 165
ხეთებსა და ჰალიძონებს 166
ვარსკვლავების სიცილი 167
მარსს და იუპიტერს 168
გოთები და ჰუნები (III-IV ს.ს.) 169
ეგრისელო, ეგრის ძევ 170
ჭინჭილა 171
ზამთრის ქარი 172
ხილვა: ყუთლუ არსლანი 173
ნასკვით-ნაყივჩაღარი 174
ხილვა: ანდრია და მატათა 175
*** მარიამ ღვთისმშობელი 176
** მზე აენთო შუქნიშნად 177
ვაჟას ძეგლი ჩარგალში 178
ეჰეჰეჰეიი 179
ადამი 180
*** ერკინები მილეთს 181

ხილვა: სანები და 182
ბეთჰოვენს, მოცარტს 183
მზის, მთვარის და... ხუთ 184
ჩანჩქერი 185
ჩე გოლას და მინგარიოს 186
ნუტი 187
სანებს, ზანებს, სუბარებს 188
ვაი და უი 189
მთვარეა ჩემი საფლავის 190
N-ს 191
თოლიები ზღვაზე 192
*** ზამთარია და შიშველ-ტიტველი 193
ჭრიჭინობელა 194
თოთი 195
ასტომეული 196
*** რაც სიზმარშიც არ 197
რიონი რაჭაში 198
ორი შეცდომა 199
რწმენის ცა 200
ობობა 201
ასომთავრული 202
რემა 203
რეზვანი 204

მთვარე, ელვა, ქარი.....205
*** შენ მეუფობ ცას და.....206
*** შემოელიათ ხმები თოლიებს.....207
*** უკეთესს ტაძარს.....208
შენი ლექსები.....209
ცხვრის ქურდი.....210
მამა, ძე და სულიწმინდა.....211
არაფერია ფარული.....212
შუმერებს და აქადებს.....213
კოლხთა დიდი წარსული.....214
ობობა.....215
ან მარეს და აიეტის.....216
სული.....217
ზღვის ქარი.....218
აფხაზებს და ოდიშარებს.....219
ქრისტე.....220
მინოტავრი*.....221
*** შენი ლექსების მთები და.....222
შური.....223
ფიქრი.....224
ვარსკვლავების ნაჭუჭები.....225
სანამ სიკვდილი გვეამბორება.....226
1941.....227

ისევ ლოდინი 228
ხილვა: კონსტანტინე 229
ძახილი 230
ორნი 231
*** “ამა ენაზე” – ქართულზე 232
*** ჰა 233
პანთეონი – 234
ძვირფასი საჩუქარი 235
ვით ნიბური ან ვით ური 236
მზის ბეჭედი 237
ისევ ქალდეა 238
ხილვა: მუჰამედ 239
მინაწერი 240

მილოცვა

„ნიკოლოზ ფირცხალავას" 100-წლისთავთან
დაკავშირებით, ერისადმი ამ ფიქრიანი
ბუნების, ერისადმი ამ ფიქრიანი
ბუნების ლოცვისთვის, ლაღისა
ამ ოთხი, ერისადმი ბევრ ფიქრიანი
ბუნებისა ბევრ ფიქრიანი ბევრ
ფიქრიანი ბევრ ფიქრიანი ბევრ
ფიქრიანი ბევრ ფიქრიანი ბევრ
ფიქრიანი

ვაჟა ეგრისელი

კოლხური ფსალმუნები

100 ტომად
ტომი 53

VAZHA EGRISELI

"KOLKHURI PHSALMUNEBI"

ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 53

გამომცემლობის	
რედაქტორი	– დაჩი დოლბაია
მხატვარი	– სპარტაკ ცინცაძე
მხატვრული რედაქტორი	– ირაკლი უშვერიძე
ტექნიკური რედაქტორი	– ნანა დუმბაძე
კორექტორი	– სოფო ცინცაძე
კომპიუტერული	
უზრუნველყოფა	– ნანა და დათო ყანდაშვილები

გამომცემელი – ზურაბ დოლბაია

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com